მსოფლიოს ბანკის მიერ დაფინანსებული
პროექტი „LOG IN GEORGIA“

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი

17 სექტემბერი, 2020
მაისი, 2025 (განახლებული)

სარჩევი

აკრონიმების ჩამონათვალი 3

1. შესავალი 4

2. პროექტის კონტექსტი 5

3. „Log in“ პროექტის განვითარების მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და განხორციელების გეგმა 5

3.1 პროექტის განვითარების მიზანი 5

3.2 პოექტის განხორციელების გეგმა 6

3.3 პროექტის ღირებულება ..... **Error! Bookmark not defined.**

4. სამართლებრივი და ინსტიტუციური სტრუქტურა 11

4.1. ნორმატიული ბაზა 11

4.2 მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი 17

5. ეკოლოგიური და სოციალური ბაზა 21

5.1 ფიზიკური გარემო 21

5.2 ბიოლოგიური რესურსები 23

5.3 სიღარიბე, სოციალური და გენდერული საკითხების შეფასება 23

6. ინსტიტუციური ბაზა 27

7. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგის და შეფასების წესები და პროცედურები 35

8. სენსიტიური რეცეპტორები და პოტენციური ზემოქმედებები 37

8.1 სამშენებლო ფაზის ზემოქმედებები 38

8.2 საექსპლუატაციო ფაზების ზემოქმედება 40

9. ზემოქმედების შერბილება 40

9.1 „ოუფენ ნეტის“ ქსელის საპროექტო ფაზა 40

9.2 სამშენებლო ფაზა 41

9.3 საექსპლუატაციო ფაზა 44

10. ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა 45

11. საჯარო კონსულტაციები და მოქალაქეთა ჩართულობა სოციალური და ეკოლოგიური რისკის მართვაში 47

12. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი 49

13. საჩივრების განხილვის მექანიზმი 49

14. ანგარიშგება 52

აკრონიმების ჩამონათვალი

ComCom	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
EA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EHS	გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის სახლემძღვანელო მითითებები
ESCP	გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESMF	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი
ESMP	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა
ESR	ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვა
ESS	გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები
GoG	საქართველოს მთავრობა
GRC	საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი
GRM	საჩივრების განხილვის მექანიზმი
IBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
IRU	გამოყენების ხელშეუვალი უფლება
LMP	შრომის მართვის პროცედურა
MEPA	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NACHP	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
PAP	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები
POM	პროექტის მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტ
PoP	მიერთების წერილი
RAP	განსახლების სამოქმედო გეგმა
RPF	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი
SEP	დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა
TOR	ტექნიკური დავალება

1. შესავალი

2013 წლიდან საქართველოს მთავრობა საკუთარი მოქალაქეების ინტერნეტზე წვდომის ზრდის და ახალგაზრდებსა და სტუდენტებში ციფრული ტექნოლოგიების უნარების ამაღლების მიზნით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის მასშტაბით ტექნოლოგიების გამოყენებას და ინოვაციების მხარდაჭერას. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო სექტორი. ამ დროის განმავლობაში თანდათანობით ვითარდება ფართოზოლოვანი ინტერნეტი, ოჯახების დაახლოებით 67% გახდა ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებების მომხმარებელი. თუმცა, თუ ქალაქებსა და სოფლის რაიონებს ერთმანეთს შევადარებთ, ამ მხრივ მათ შორის დიდი განსხვავებაა. მაშინ როდესაც ქალაქის მოსახლეობის ჩართულობა 83%-ს აღწევს, ეს მაჩვენებელი 52%-ს შეადგენს სოფლების შემთხვევაში, სოფლის ტერიტორიის უმეტესობას უსადენო ქსელი ფარავს, თუმცა მათ სიჩქარე არ არის საკმარისი დღევანდელი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ საქართველოს მთავრობის პროგრამის („ოუფენ ნეტის“ / Open Net პროგრამა) მიზანია ამ პრობლემების აღმოფხვრა - სოფლის რაიონების მიერთებით, რომლებსაც ამჟამად არასათანადო მომსახურებებს უწევს კერძო სექტორი.

„ოუფენ ნეტი“ არის არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც დააფუძნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ. „ოუფენ ნეტმა“ მოამზადა Log-In Georgia პროექტი, რომელიც ხორცელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. პროექტი დამტკიცა 2020 წლის 31 აგვისტოს და ძალაში შევიდა 2020 წლის 28 დეკემბერს. 2025 წელს საქართველოს მთავრობამ მოითხოვა დამატებითი დაფინანსება, რათა პროექტმა დაფაროს მეტი რეგიონები და გაუმჯობესებული იქნას ინტერნეტის მომსახურების უზრუნველყოფა. (…..) მსოფლიო ბანკმა დააკმაყოფილა თხოვნა დამატებითი დაფინანსების შესახებ.

პროექტის მომზადების ფაზაში მომზადდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF) და მოგვიანებით განახლდა დამატებითი დაფინანსებაშთან დაკავშირებული პროცედურების ფარგლებში. დოკუმენტი წარმოადგენს Log-In Georgia პროექტის მიზნებისთვის შემუშავებული საექსპლუატაციო სახელმძღვანელოს განუყოფელ ნაწილს. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის მთელ რიგ ზომებს, რომელიც მიღებული უნდა იქნას Log-In Georgia პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების დაგეგმვის, დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის განმავლობაში, პროექტთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის

გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF), სოციალურ და შრომის უსაფრთხოების სტანდარტებთან ერთად, ითვალისწინებს საერთო პოლიტიკას, სახელმძღვანელო მითითებებს, პრაქტიკულ ნორმებს და პროცედურებს, რომელიც ინტეგრირებულია Log-In Georgia პროექტის განხორციელებაში. განსაზღვრავს ეტაპობრივ ინსტრუქციებს Log-In Georgia პროექტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ქვე-პროექტების ეკოლოგიურ სკრინინგთან, კლასიფიკაციასთან, შეფასებასთან, დამტკიცებასთან და მონიტორინგთან დაკავშირებით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF) ასევე განიხილავს საქართველოს გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას და სამართლებრივ ჩარჩოს და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს და მათ რელევანტობას პროექტთან; მოიცავს ინსტიტუციურ და პოტენციალის შეფასებას ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვასთან დაკავშირებით; და აღწერს პრინციპებს, მიზნებს და მიდგომას, რომელიც უნდა შესრულდეს ობიექტისთვის სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შედეგების შერბილების ზომების განსაზღვრისას.

2. პროექტის კონტექსტი

Log-In Georgia პროექტი შედგენილია საქართველოს მთავრობის მიზნების მხარდასაჭერად, რომელიც ეხება წვდომის გაფართოებას მოსახლეობისთვის ქვეყნის მასშტაბით და საქართველოს მოქალაქეების ინტეგრაციას ეროვნულ და გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) დაფინანსების და ერთობლივი დაფინანსების კომბინაციის გზით, პროექტი ითვალისწინებს მთელი რიგი ღონისძიებების მხარდაჭერას რეგიონებში საქართველოს მასშტაბით, რომელიც: (1) გააფართოებს წვდომას ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებებზე სამიზნე დასახლებებში; და (2) ხელს შეუწყობს მის გამოყენებას ფიზიკური პირების და საწარმოების მიერ.

3. „Log in“ პროექტის განვითარების მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და განხორციელების გეგმა

3.1 პროექტის განვითარების მიზანი

პროექტის განვითარების მიზანია წვდომის გაზრდა ფართოზოლოვან ინტერნეტზე და ფიზიკური პირების და საწარმოების მიერ მისი გამოყენების ხელშეწყობა სამიზნე სოფლის დასახლებებში.

შედეგის ინდიკატორები მოიცავს:

მიზანი	**შედეგების ინდიკატორი**
გაზრდილი წვდომა	1. მოსახლეობა უზრუნველყოფილია წვდომით ფართოზოლოვან ინტერნეტზე (რაოდენობა (ათასი)).
გაუმჯობესებული წვდომა	2. ფართოზოლოვან ინტერნეტზე ხელმოწერის პაკეტების ხელმისაწვდომობა (პროცენტულად).
გამოყენების ხელშეწყობა	3. ფიზიკური პირების წილი სამიზნე სოფლის დასახლებებში, რომლებიც იყენებენ ინტერნეტს კონკრეტული მიზნებისთვის[1] (პროცენტული მაჩვენებელი) ა. მათგან ქალები (პროცენტული მაჩვენებელი) ბ. მათგან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (პროცენტული მაჩვენებელი); 4. საწარმოების წილი სამიზნე სოფლის დასახლებებში, რომლებიც იყენებენ ინტერნეტს კონკრეტული მიზნებისთვის [2] (პროცენტული მაჩვენებელი) a. მათგან, ქალის საკუთრებაში არსებული საწარმოები ,

3.2 პროექტის განხორციელების გეგმა

Log-In Georgia პროექტი მოიცავს ქვემოთ აღწერილ სამ კომპონენტს.

[1] საპროექტო ტერიტორიებზე გამოკითხული ფიზიკური პირების წილის მარტივი საშუალო მაჩვენებელი, რომლებიც სარგებლობენ ინტერნეტით შემდეგი მიზნებისთვის: ჯანმრთელოობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება; ინფორმაციის მოპოვება საქონლის ან მომსახურებების შესახებ; სამუშაო ადგილის მოძიება ან განცხადების გაგზავნა; ინტერნეტ ბანკინგი.

[2] საპროექტო ტერიტორიებზე გამოკითხული საწარმოების (ერთი ან მეტი თანამშრომლით) წილის მარტივი საშუალო მაჩვენებელი, რომლებიც სარგებლობენ ინტერნეტით შემდეგი კონკრეტული მიზნებისთვის: აქვთ ვებ-გვერდი; ელექტრონულად წარადგენენ შევსებულ ფორმებს (მაგ. ფორმები საბაჟო ან დღგ დეკლარაციებისთვის); დღგ დეკლარაცია ელექტრონულად შევსებული დოკუმენტების გაფორმების საჭიროების გარეშე (მათ შორის ელექტრონული გადახდა მოთხოვნის შემთხვევაში); შეკვეთების მიღება ვებ-გვერდის მეშვეობით საქონლის ან მომსახურებებისთვის.

<u>კომპონენტი 1: ფართოზოლოვან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</u>

აღნიშნული კომპონენტი ხელს უწყობს ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის გაზრდას სოფლის ტიპის დასახლებებში საქართველოს მასშტაბით და ციფრული განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების გაუმჯობესებას. ქვე-კომპონენტი 1.1 გულისხმობს Open Net-ის სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობას, რომლის მიზანია ფართოზოლოვან მომსახურებაზე წვდომის გაფართოება სამიზნე სოფლის ტიპის დასახლებებში. ქვე-კომპონენტი 1.2 გულისხმობს საქართველოში ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებას.

ქვე-კომპონენტი 1.1: Open Net-ის სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობა

Open Net-ის სახელმწიფო პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურის განვითარება ღია დაშვების მომსახურების და საბითუმო ფართოზოლოვანი მომსახურების შეთავაზების მიზნით. Open Net-ის პროგრამის საშუალებით აღმოიფხვრება საშუალო სიჩქარის ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ინფრასტრუქტურაში არსებული ხარვეზები, რომელთა გონივრულ ვადაში აღმოფხვრა შეუძლებელია მხოლოდ კერძო ინვესტიციით. აღნიშნული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ღია დაშვების პრინციპზე დამყარებული საბითუმო ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდებას ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ნებისმიერი უფლებამოსილი (მესამე მხარის) პირისთვის, კონკრეტულ დასახლებაში ქსელის ღია დაშვების მომსახურების წვდომის წერტილზე. წვდომის უზრუნველყოფა მოხდება რეგულირებულ ფასებში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული წესით. ამის შემდეგ, მომსახურების მიმწოდებლები დასახლებების შინამეურნეობებისთვის, საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომერციული პირობების გათვალისწინებით და საკუთარი ინფრასტრუქტურის საშუალებით. ამრიგად, პროგრამის საშუალებით მომსახურების მიმწოდებლებს ეძლევათ სოფლის ტიპის დასახლებებში ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის გააფართოვების და გააუმჯობესების საშუალება. Open Net-ის საშუალებით გაიზრდება ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომა საქართველოს მასშტაბით დასახლებულ პუნქტებზე (სოფლები და ქალაქები), იმავე ხარისხითა და ფასებით, როგორც დედაქალაქში.

აღნიშნული ქვე-კომპონენტი გულისხმობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრულ, Open Net-ის ქსელში ჩართვისთვის შესაბამის 800-მდე დასახლებაში (საქართველოს მასშტაბით სულ 2500 დასახლებული პუნქტიდან). ინფრასტრუქტურის დაპროექტების, მშენებლობის და მონტაჟის დაფინანსებას. ქსელის განლაგება ეტაპობრივად მოხდება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, მათ შორის ტექნიკური მიზანშეწონილობისა და

მოთხოვნის შეფასების გათვალისწინებით, მომსახურების მიმწოდებლებთან კოორდინაციული მუშაობის გზით. Open Net-ის ქსელი მოიცავს ისეთ მონაკვეთებს, რომლებიც ახლად აშენებულია ან რომლებზეც უკვე არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. პროგრამის მიერ ინფრასტრუქტურით სარგებლობა მოხდება ლიზინგის ან ხელშეუვალი სარგებლობის უფლებების (IRUs) შესყიდვის გზით.

ქვე-კომპონენტი 1.2: ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების გაუმჯობესება

აღნიშნული ქვე-კომპონენტი გულისხმობს საქართველოში ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საქმიანობის ხელშეწყობას. ეს მოიცავს სამართლებრივი, პოლიტიკური და მარეგულირებელი ინსტრუმენტების შემუშავებას და ინვესტიციების მოზიდვისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც განსაზღვრულია ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში (დამტკიცებული 2020 წელს).

ქვე-კომპონენტი გულისხმობს სამართლებრივი და პოლიტიკის რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებას და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ინსტიტუციური კოორდინაციის ხელშეწყობას. იგი ასევე მოიცავს ტექნიკურ დახმარებას მარეგულირებელი რეფორმების შემუშავებასა და განხორციელებაში, აგრეთვე IT სისტემების და ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავებას მათი განხორციელების ხელშესაწყობად, მათ შორის ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის ხარჯების შემცირების მიზნით. ქვე-კომპონენტი ასევე გულისხმობს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით უცხოელი და კერძო ინვესტორების ჩართულობის ხელშეწყობას.

<u>კომპონენტი 2: ფართოზოლოვანი ქსელის ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშეწყობა</u>

აღნიშნული კომპონენტი ხელს შეუწყობს საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარებას ძლიერი, ხელსაყრელი გარემოს შექმნის, ფართოზოლოვანი მომსახურებით სარგებლობის ხელშეწყობის და ციფრულ ეკონომიკაში პირების მონაწილეობის ხელშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის გზით. ქვე-კომპონენტი 2.1 გულისხმობს ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნის ხელშეწყობას საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარების მიზნით. ქვე-კომპონენტი 2.2 გულისხმობს ფართოზოლოვანი მომსახურებით სარგებლობის შემთხვევების იდენთიფიკაციას და პოპულარიზაციას, სამიზნე დასახლებებში არსებული და მომხმარებელთა

კონკრეტული ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის მიზნით. ქვე-კომპონენტი 2.3 გულისხმობს ისეთი ღონისძიებების ხელშეწყობას, რომლებიც უზრუნველყოფს ციფრული შესაძლებლობების არმქონე პირთა კონკრეტული ჯგუფების ციფრულ მომსახურებაში ჩართვას.

ქვე-კომპონენტი 2.1: ციფრული ეკონომიკის განვითარების მიზნით ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა

აღნიშნული ქვე-კომპონენტი გულისხმობს საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობას. ეს მოიცავს სამართლებრივი, პოლიტიკური და მარეგულირებელი ინსტრუმენტების შემუშავებას და ინვესტიციების მოზიდვისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც განისაზღვრება ციფრული ეკონომიკის განვითარების მომავალი ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში (სამოქმედო გეგმის დამტკიცება დაგეგმილია 2021 წელს). კონკრეტული ღონისძიებები მოიცავს ტექნიკურ დახმარებას პოლიტიკის და სამართლებრივი რეფორმების შემუშავების და განხორციელებისთის, ინსტიტუციური კოორდინაციის ხელშეწყობას და საერთაშორისო ინვესტორების ჩართულობის უზრუნველყოფას საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარებაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

ქვე-კომპონენტი 2.2: ფართოზოლოვანი მომსახურებით სარგებლობის პოპულარიზაცია

ქვე-კომპონენტი გულისხმობს გაუმჯობესებული ფართოზოლოვანი მომსახურებით სარგებლობის პოპულარიზაციას სამიზნე სოფლებში. კონკრეტული ამოცანები მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა და მოქალაქეების ჩართულობას სამიზნე დასახლებებში მომსახურებით სარგებლობის პოპულარიზაციის მიზნით პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას (პირველ ეტაპზე, განათლების, ჯანდაცვის და ფინანსური მომსახურებები) და მიზნობრივ დასახლებებში ფასილიტატორების მობილიზებას გადამზადების და საინფორმაციო-პროპაგანდული საქმიანობის კოორდინაციის და განხორციელების მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდება სხვა საჯარო უწყებებთან და პირებთან კოორდინაციით, რათა მოხდეს იდენტიფიცირებულ შემთხვევებთან დაკავშირებული ციფრული პლატფორმების და მომსახურებების განვითარების შესახებ ინფორმირება.

ქვე-კომპონენტი 2.3: ციფრული ჩართულობის გაზრდა

აღნიშნული ქვეკომპონენტი გულისხმობს მიზნობრივი ინტერვენციების დაფინანსებას, სოფლად მცხოვრები ქალების, სოციალური უმცირესობების, ხანდაზმული პირების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ციფრული

ჩართულობის გაზრდის მიზნით. ეს მოიცავს მობილიზაციისა და ტრენინგის პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას იდენტიფიცირებული ჯგუფების ციფრული ჩართულობის ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით (ძირითადად აქცენტი გაკეთდება ეთნიკურ უმცირესობებზე, ხანდაზმულ პირებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და მარტოხელა ქალებზე). პროექტი ასევე ხელს შეუწყობს საპილოტე პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას, რათა უზრუნველყოს ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები სამიზნე სოფლებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ყველა ზემოქმედების მონიტორინგის ხელშეწყობა, ქალთა, ხანდაზმულთა, სოციალურ უმცირესობათა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ციფრულ ჩართულობაზე განსაკუთრებული აქცენტით, ასევე შედის აღნიშნულ ქვე-კომპონტში.

კომპონენტი 3: პროექტის განხორციელების ხელშეწყობა

აღნიშნული კომპონენტი გულისხმობს პროექტის მართვისა და განხორციელების და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის შესაძლებლობების გაძლიერებას. ეს მოიცავს პროექტის განხორციელების მიზნით ძირითადი მიმართულებებისთვის საჭირო კონსულტანტების დაქირავებას, როგორებიცაა პროექტის მართვა, ტექნიკური ექსპერტიზა, შესყიდვები, ფინანსური მართვა, გარემოს დაცვა და სოციალური დაცვა, მონიტორინგი და შეფასება, კომუნიკაციები, მოქალაქეთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. შესაბამისი საჯარო მოხელეები ასევე გაივლიან ტრენინგებს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ღონისძიებებთან დაკავშირებით, როგორიცაა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცედურები სტიქიური უბედურების დროს, სატელეკომუნიკაციო ქსელების სწრაფი აღდგენის უზრუნველსაყოფად და მომსახურების მიუწვდომლობის მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

4. სამართლებრივი და ინსტიტუციური სტრუქტურა

4.1. ნორმატიული ბაზა

ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის ეროვნული კანონმდებლობა პროექტთან დაკავშირებით

Log-in Georgia პროექტი უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის, მათ შორის კანონების, რეგულაციების და სტანდარტების სრული დაცვით, რომლებიც არეგულირებს გარემოსდაცვითი საქმიანობების მართვას, სოციალურ დაცვას, შრომის უსაფრთხოებას და დაცვას და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციური სტრუქტურა საქართველოში ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას. თუმცა კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის განხილული გარემოსდაცვითი საკითხები, არ დასტურდება პირის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება. კონსტიტუცია ასევე განსაზღვრავს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც გარანტირებს საზოგადოების წვდომას ინფორმაციაზე, მიუთითებს, რომ ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოიპოვოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი საცხოვრებელი გარემოს შესახებ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხები გათვალისწინებულია სხვადასხვა კანონებში, რეგულაციებში და საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

Log-in Georgia პროექტთან დაკავშირებულია შემდეგი ეროვნული სამართლებრივი აქტები:

- **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017).** ამ კოდექსმა ჩაანაცვლა მანამდე არსებული და მოქმედი კანონები გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) და ნებართვის შესახებ. აღნიშნულ კანონენთან შედარებით ახალი კოდექსი გაცილებით ახლოს არის საერთაშორისო სათანადო პრაქტიკასთან და ევროკავშირის პრინციპებთან. კოდექსში მითითებულია საქმიანობების ორი პაკეტი, ერთ-ერთი მათგანი ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (EIA) ნებისმიერ გარემოებაში, ხოლო მეორე შესაძლოა მოითხოვდეს ან არ მოითხოვდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (EIA), რაც

დამოკიდებულია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) გადაწყვეტილებაზე პროექტთან დაკავშირებით. კოდექსი ითვალისწინებს სკრინინგის და სკოპინგის ფაზებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) პროცესში. ასევე ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) პროცესში შემუშავებული დოკუმენტაციის გამჟღავნების ვალდებულებას და საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკრინინგის განცხადება და დასკვნები, ასევე სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) განცხადებები და ანგარიშები ექვემდებარება გასაჯაროვებას გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) ვებ-გვერდის მეშვეობით. აღნიშნული სამინისტრო პასუხისმგებელია რეკლამირებაზე და საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებაზე სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიშების შესახებ. პროექტის ინიციატორი პასუხისმგებლია განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA). გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) პროცესის შედეგების საფუძველზე, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) გამოსცემს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას განსახილველი აქტივობის შესახებ. დადებითი დასკვნა ხელს უწყობს სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცესს, ხოლო უარყოფითი დასკვნა ბლოკავ ამ პროცესს. პროექტის ფარგლეში განხორციელებულ სამუშაოებს არ დასჭირდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა.

- **ნარჩენების მართვის კოდექსი (2014).** ეს კოდექსი განსაზღვრავს საშიში და არასაშიში ნარჩენების, მათ შორის ნარჩენების წარმოქმნის შემცირების და ხელახლა გამოყენების და რეციკლირების ზრდის სამართლებრივ ჩარჩოს. კანონი მოითხოვს პროქტის ფარგლებში ნარჩენების მართვას გარემოს დაცვის გზით. კოდექსი განსხვავებულ მოთხოვნებს აწესებს სამშენებლო კომპანიებისთვის ნარჩენების მოცულობის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის საქმიანობის შედეგად ყოველწლიურად წარმოიქმნება 1,000 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 120 კილოგრამზე მეტი საშიში ნარჩენი, კომპანიამ უნდა შეიმუშაოს ნარჩენების მართვის გეგმა და მიიღოს თანხმობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან (MEPA), ასევე უნდა დაიქირავოს გარემოსდაცვითი მენეჯერი. LiG პროექტის ფარგლებში დაქირავებული სამშენებლო ზედამხედველი კომპანია პასუხისმგებელია კონტრაქტორების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის კონტროლზე და მათი ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. გარდა იმისა, რომ კონტრაქტორებს სხვადასხვა სახის ნარჩენებისთვის ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ჰქონდეთ სამინისტროს მიერ

დამტკიცებული, მათ ასევე უნდა დაიცვან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის წესები და არ დააბინძურონ სამუშაო ადგილები.

- **კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ (1994).** ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების გაუმჯობესება. კანონის ძირითადი გამოყენებადობა პროექტთან დაკავშირებით მოითხოვს მიწის სამუშაოების დროს ტრანშეებსა და თხრილების გაყვანისას, დაცული იყოს ნიადაგის საფარი, მისი მოცილების და შენახვის გზით დარღვეული ობიექტის აღდგენამდე. გარდა ამისა პროექტი მოითხოვს საწვავის და სხვა საშიში ნივთიერებების სათანადო მოხმარებას, რათა არ მოხდეს ნიადაგის დაბინძურება.

- **საქართველოს კანონმდებლობა წიაღის დაცვის შესახებ (1996).** საქართველოს კანონმდებლობა წიაღის დაცვის შესახებ მოიცავს აღნიშნულ კანონს და სხვა დაქვემდებარებულსაკანონმდებლო აქტებს, რომელიც არეგულირებს წიაღის კვლევას და გამოყენებას, სასარგებლო წიაღისეულს და ბუნებრივ მიწისქვეშა ღრუებს, და ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა ქანების (მათ შორის ნარიყი ქანების) გამოყენების, შენახვის და დაცვის პროცესში სამთო-მოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობიდან, ასევე მიწისქვეშა სტრუქტურების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში. ეს კანონი გამოყენებული იქნება პროექტის საჭიროებისთვის ინერტული მასალების მოპოვების შემთხვევაში.

- **კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ (2023).**
  ეს კანონი არეგულირებს წყლის რესურსებს საქართველოში, მათ შორის მიწისზედა და მიწისქვეშა წყლების გამოყენებას და დაცვას. პროექტის ორგანიზატორი ვალდებულია მოამზადოს ტექნიკური პროექტი წყლის ამოღებასთან დაკავშირებით ნებისმიერი ღია წყალსატევებიდან, რომელიც უნდა შეთანხმდეს და დამტკიცდეს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

- **კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (1999).** ეს კანონი იცავს ატმოსფერულ ჰაერს ადამიანის მიერ გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენისგან და უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებას, იცხოვრონ ჯანმრთელ გარემოში. კანონი არეგულირებს ატმოსფეროში ემისიებს, ითვალისწინებს ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო

სტანდარტებს შორის ეტაპობრივ დაახლოებას და უზრუნველყოფს ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობას.

პროექტი არ მოიცავს ისეთი სამრეწველო ობიექტის ექსპლუატაციას, რომელზედაც გავრცელდება ჰაერის დაბინძურების მდგრადი წყაროებისთვის დაწესებული პროცედურები. თუმცა, მტვრის წარმოქმნა უნდა შემცირდეს მინიმუმამდე, ხოლო სამშენებლო მანქანა-დანადგარები უნდა იყოს ტექნიკურად გამართული, რათა თავიდან იქნას აცილებული ჭარბი გამონაბოლქვი.

- **კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (2007).** ეს კანონი კანონი იცავს კულტურულ მემკვიდრეობას და მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებას უცხო ქვეყნებშიც. იგი ადგენს „სავალდებულო პირობებს ფართომასშტაბიანი მიწის სამუშაოების განხორციელებისთვის“ არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაუდგენელი ობიექტების დაზიანების თავიდან ასაცილებლად. შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურა მკაფიოდ არის განსაზღვრული. მიწის სამუშაოებამდე არქეოლოგიური შეფასების და შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურების მოთხოვნები გავრცელდება პროექტზე. მიწის სამუშაოების დაწყებამდე, Open Net-მა უნდა მიიღოს თანხმობა კულტურის სამინისტროდან და უზრუნველყოს, რომ კონტრაქტორები დაიცავენ შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურას.

- **კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (2007).** ეს კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის ინფექციური დაავადებების პრევენციას. ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგენს გარემოს ხარისხობრივ ნორმებსა და სტანდარტებს, რომელიც უნდა დაიცვას პროექტმა, მათ შორის დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად / მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციების და მავნე ზემოქმედების ნორმებს, ატმოსფერულ ჰაერში, წყალში, ნიადაგში, ხმაურთან და ელექტრომაგნიტურ გამოსხივებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების დროს დაცული უნდა იქნას ამ კანონითა და მისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი რეგულაციები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ზემოქმედების დასაშვები ზღვარის შესახებ. ზღვრული მაჩვენებლების გადაჭარბების შემთხვევაში აუცილებელია მონიტორინგისა და კორექტული ზომების მიღება.

- **საქართველოს შრომის კოდექსი (2010).** ადმინისტრირებული ძირითადად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (MoILHSA) მიერ, ეს კანონი არეგულირებს შრომით ურთიერთობებს მუშახელსა და დამსაქმებლებს შორის. რაც მოითხოვს სამართლიან ანაზღაურებას და უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნას. კანონი მოიცავს რიგ დებულებებს პროექტთან დაკავშირებით, მათ შორის დებულებებს დასაქმების გარანტიების, სამუშაო დროის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის, დახმარებების და პენსიების, ასაკის, შიდა შრომითი რეგულაციების (ე.ი. ადამიანური რესურსების სახელმძღვანელო) და შრომის დაცვის და უსაფრთხოების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი დაიქირავებს საზღვარგარეთ მომუშავე მუშახელს, ასეთ პირებს ექნებათ იგივე უფლებები და მოვალეობები, როგორც საქართველოს მოქალაქეს. კანონი კრძალავს ბავშვის შრომას და იძულებით შრომას, ასევე დისკრიმინაციას კანის ფერის, რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური სტატუსის და სხვა პირადი ნიშნით.

- **კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ (2018).** კანონი ადგენს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების წესებს და ნორმებს სამუშაო ადგილზე, დაცვის ზომებს საშიშ თან დაკავშირებით, დამსაქმებლების და დასაქმებულების ვალდებულებებს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებში პერსონალის გადამზადების მოთხოვნებს თითოეულ საწარმოში, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სახელმწიფო ინსპექტირების პროცედურებს და გამოსწორების ზომების და ჯარიმების პროცესს აღნიშნული წესების დაუცველობის შემთხვევაში. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (MoILHSA) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი პასუხისმგებელია ამ კანონის აღსრულებაზე. ამ კანონის დაცვა უზრუნველყოფს უსაფრთხოების ნორმების დაცვას სამშენებლო მოედნებზე, რისკის შეფასების დოკუმენტისა შემუშავებისა და მისი რეგულარული განახლების ჩათვლით.

ტექნიკური ნორმები, სტანდარტები და რეგულაციები

- საქართველოს მთავრობის დადგენილება #383 ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ, 2018 წლის 27 ივლისი.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #425 „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“, 2013 წლის 12 დეკემბერი.

- საქართველოს მთავრობის დადგენილება #17 გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე, 2014 წლის 6 იანვარი.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #424 „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ 2013 წლის 31 დეკემბერი. !!!
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #440 წყალდაცვითი ზოლის შესახებ, 2013 წლის 31 დეკემბერი.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #242 ტყითსარგებლობის წესის შესახებ, 2010 წლის 20 აგვისტო.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #211 კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის შესახებ, 2015 წლის 4 აგვისტო.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება # 347 ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის და ელექტრომოწყობილობების ელექტროსამონტაჟო და გაწყობის სამუშაოების წარმოების დროს უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ, 2013 წლის 17 დეკემბერი.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება 2014 წლის 15 იანვრით დათარიღებული No. 59 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე.
- სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომედეგი მშენებლობა“ (2009 წლის 1 იანვარი).
- ცემენტის და ბეტონის სამშენებლო ნორმები და წესები (2008 წლის 1 იანვარი).
- საქართველოს კლიმატის კვლევა (2008 წლის 1 მაისი).
- ელექტროენერგიის მომწოდებლის მოთხოვნები: საქართველოს ენერგეტიკული კომპანია - ენერგომომარაგების წესები და რეგულაციები.
- საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული წესების კრებული ელექტრო და განათების მოწყობილობების ენერგოეფექტურობის შესახებ.

IEC 60364-7-704 – სამშენებლო და დემონტაჟის ობიექტის მოწყობილობები.
IEC 60335 – საყოფაცხოვრებო და მსგავსი ელექტრო მოწყობილობების უსაფრთხოება.
სამშენებლო ნორმები და წესები "სეისმომედეგი მშენებლობა" (01 იანვარი 2009)
EU სტანდარტი EN 12828
СНИП II-23-81*
СНИП 2.01.07-85
СНИП 7-81
СНИП 28-73

4.2 მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი

პროექტი Log-In Georgia ხორციელდება მსოფლიო ბანკის სესხიდან მიღებული შემოსავლებით, რაც მოითხოვს, რომ პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს (ESSs), ასევე საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას. მოთხოვნების განსხვავების შემთხვევაში, უფრო მკაცრი მოთხოვნა უნდა შესრულდეს. მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESF) მოიცავს გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას საინვესტიციო პროექტის დაფინანსებისთვის, რომელშიც აღწერილია მოთხოვნები, რომლებიც უნდა შეასრულოს ბანკმა იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებსაც მხარს უჭერს საინვესტივიო პროექტის დაფინანსების გზით, და მოიცავს 10 გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტს (ESSs), რომელიც ადგენს მოთხოვნებს მსესხებლებისთვის, როგორიცაა „ოუფენ ნეტი“ რათა დაადგინოს, შეაფასოს და აკონტროლოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტების ზემოქმედებები. აღნიშნული სტანდარტების გამოყენება, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დადგენასა და მართვაზე ფოკუსირებით, ხელს უწყობს მსესხებლებს მიზნის მიღწევაში - სიღარიბის შემცირება და ერთობლივი განვითარების ზრდა, მდგრადი გზით გარემოს და მისი მოქალაქეების სასარგებლოდ. აღნიშნული სტანდარტების მიზანია მსესხებლების მხარდაჭერა მიაღწიონ საერთაშორისო სტანდარტებს ეკოლოგიურ და სოციალურ მდგრადობასთან დაკავშირებით; მსესხებლების დახმარება ადგილობრივი და საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულებაში; დისკრიმინაციის დაუშვებლობის, გამჭვირვალობის, მონაწილეობის, ანგარიშვალდებულების და მართვის გაძლიერება; და პროექტების შედეგების მდგრადი განვითარების გაძლიერება დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გზით. გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESSs) მიმოხილვა და მათი რელევანტობა Log-In Georgia პროექტთან, წარმოდგენილია ქვემოთ 1 ცხრილში.

ცხრილი 1. რელევანტური გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოკლე რეზიუმე

გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები (ESS)	**რელევანტობა პროექტთან**
ESS1: გარემოსდაცვითი	ეს სტანდარტი ეხება მოცემულ პროექტს. მიუხედავად

და სოციალური რისკების და ზემოქმედებების შეფასება და მართვა	იმისა, რომ პროექტმა შესაძლოა განაპირობოს დადებითი ეკოლოგიური და სოციალური სარგებელი, სამშენებლო სამუშაოებიდან შესაძლოა წარმოიქმნას პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედებები. გარემოსდაცვის და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF) მომზადებულია პროექტისთვის, რომელშიც მითითებულია პრინციპები, წესები, სახელმძღვანელო მითითებები და პროცედურები, რომელთა დაცვა სავალდებულია გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედებების შერბილების მიზნით. გარემოსდაცვის და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) საფუძველზე, მომზადდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები (ESMPs), რომელშიც დეტალურად იქნება განსაზღვრული განხორციელების პროცესში მისაღები ზომები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებების აღმოფხრვრის ან კომპენსირების ან მათი მისაღებ დონემზე შემცირების მიზნით. გარემოსდაცვის და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF) მოიცავს სხვადასხვა ზომებს იმისათვის, რომ უარყოფითი ზემოქმედება არ მოხდეს დისპროპროციულად, გაჭირვებულ ან მოწყვლად საზოგადოებაზე. მასში გამოყენებულია ეკოლოგიური და სოციალური ინსტიტუტები, სისტემები, კანონები, რეგულაციები და პროცედურები. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებში (ESMPs) რომლებიც უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური ინვესტიციებისთვის, გამოიყენება გარემოსდაცვის და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტში (ESMF) წარმოდგენილი საერთო შერბილების ზომები, ზემოქმედების შერბილების იერარქიის გამოყენების მიზნით.
ESS2: დასაქმება და სამუშაო პირობები	ეს სტანდარტი რელევანტურია იმ პირობით, რომ პროექტის ფარგლებში დაქირავებული იქნება როგორც პირდაპირი, ასევე კონტრაქტით აყვანილი მუშახელი. პირდაპირი მუშახელი დაქირავებული იქნება პირდაპირ ქვეყნის დონის პროექტის

	განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ კონკრეტულად პროექტთან დაკავშირებული სამუშაოებისთვის. კონტრაქტით აყვანილი მუშახელი იმუშევებს პროექტზე და დაქირავებულნი არიან მესამე მხარეების მიერ. შრომითი ურთიერთობები, დასაქმების წესები, შრომის დაცვა და უსაფრთხოება, მუშახელის დაცვა, მუშახელის საჩივრების განხილვის მექანიზმი, კონკრეტულ მოთხოვნებთან ერთად კონტრაქტორის და ქვე-კონტრაქტორის თანამშრომლების მიმართ, შესაბამისობაში იქნება ეროვნულ კანონმდებლობასთან და ESS2 მოთხოვნებთან. შესაბამისად შრომის მართვის პროცედურა (LMP) მომზადდა საჩივრების განხილვის მექანიზმის გათვალისწინებით თანამშრომლებისთვის. შრომის მართვის პროცედურაში (LMP) განსაზღვრულია საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასა და ESS2 შორის არსებული შესაბამისობის და ხარვეზების სფეროები, დასაქმების პირობები და დებულებები, OHS მოთხოვნები და შერბილების ზომები, რომელიც გამოიყენება მოცემულ პროექტთან დაკავშირებით.
ESS3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა	ეს სტანდარტი რელევანტურია. პროექტის მიზანია პროექტთან დაკავშირებული საშიში და არასაშიში ნარჩენების აცილება, შემცირება და/ან მართვა. პროექტი ასევე ხელს უწყობს ელექტროენერგიის და წყლის მდგრად გამოყენებას სამშენებლო და საექსპლუატაციო ფაზების განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში.
ESS4: საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	ეს სტანდარტი რელევანტურია. ზოგიერთმა საქმიანობამ, როგორიცაა მასალების და მოწყობილობის ტრანსპორტირება შესაძლოა გაზარდოს საგზაო ინციდენტების რისკი, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში აცილებული იქნება ან მინიმუმამდე დაიყვანება პროექტთან დაკავშირებული საგზაო და უსაფრთხოების რისკები, დაავადებები და საშიში მასალები და მიიღება ეფექტური ზომები საგანგებო შემთხვევებში რეაგირებისთვის. პროექტი ხელს შეუწყობს ხარისხის, უსაფრთხოების და კლიმატის ცვლილებების შესახებ მოსაზრებების

	განხილვას ინფრასტრუქტურის დაპროექტებაში და მშენებლობაში. საზოგადოების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფისას გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი ჯგუფების კონკრეტული საჭიროებები, მაგალითად ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის შექმნა და სათანადო წვდომა ასაკოვანი ხალხისთვის, ბავშვებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.
ESS5: მიწის ჩამორთმევა, შეზღუდვების მიწით სარგებლობაზე და იძულებით განსახლება,	ეს სტანდარტი რელევანტურია. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი პრიორიტეტს ანიჭებს ინფრასტრუქტურის მშენებლობას იმ სახით, რომ გავლენა არ მოახდინოს კერძო საკუთრებაზე, კვლავ არსებობს დროებით ან მუდმივად მიწის ჩამორთმევის და მიწით სარგებლობის შეზღუდვის მცირე საჭიროება, ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელების განაწილებისთვის შორეულ და მთიან ტერიტორიებზე. „ოუფენ ნეტმა“ მოამზადა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი (RPF), სადაც დადგენილია შესაბამისობის კრიტერიუმები და კომპენსაციები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის, ასევე კომპენსაციის სტანდარტები და პროცედურები და ღონისძიებები კონსულტაციებთან, მონიტორინგთან და საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება და განხორციელდება ქვე-პროექტთან დაკავშირებული განსახლების სამოქმედო გეგმა (RAPs), რომელშიც განსაზღვრულია რისკების მინიმუმამდე დაყვანის, აცილების ან შერბილების ზომები და ქმედებები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კომპენსაციებს და დამხარებას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები მიიღებენ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.
ESS6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	ეს სტანდარტი არ არის რელევანტური პროექტისთვის.

ESS7: მკვიდრი მოსახლეობა / სუბსაჰარული აფრიკის ისტორიულად არაუზრუნველყოფილი ტრადიციული ადგილობრივი მოსახლეობა	ეს სტანდარტი არ არის რელევანტური პროექტისთვის, რადგან საქართველოში ამ მკვიდრი მოსახლეობის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.
ESS8: კულტურული მემკვიდრეობა	ეს სტანდარტი არ არის რელევანტური პროექტისთვის. სიფრთხილის ზომის სახით, გარემოსდაცვის და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტში (ESMF) გათვალისწინებულია პროცედურები, რომლებიც გამოიყენება კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში, არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის მიზნით.
ESS9: ფინანსური შუამავლები	ეს სტანდარტი არ არის რელევანტური პროექტისთვის, რადგან პროექტში არ მონაწილეობენ ფინანსური შუამავლები.
ESS10: დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გასაჯაროვება	ეს სტანდარტი რელევანტურია. „ოუფენ ნეტმა“ მოამზადა დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა (SEP) და საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM). ეს დოკუმენტი და სხვა დაცვის ინსტრუმენტები (LMP, RPF, ESMF) გასაჯაროვდება და ჩატარდება კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ პირებთან. დაინტერესებულ პირთა ჩართულობა გაგრძელდება პროექტის განხორციელების პერიოდში და საჭიროების შემთხვევაში განახლდება დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა (SEP).

5. ეკოლოგიური და სოციალური ბაზა

5.1 ფიზიკური გარემო

საქართველო არის პატარა ქვეყანა რომელიც კავკასიის რეგიონში მდებარეობს, მისი ფართობის დაახლოებით 69,875 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. ჩრდილოეთით

და ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვეყანას რუსეთი ესაზღვრება, სამხრეთით სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი. შავი ზღვის სანაპირო ზოლი შეადგენს საქართველოს მთლიან დასავლეთ საზღვარს. საქართველო ძირითადად კავკასიის მთებზე გადის და მისი ჩრდილოეთ საზღვარი ნაწილობრივ დიდი კავკასიონის ქედით განისაზღვრება. მცირე კავკასიონის ქედი, რომელიც თურქეთის და სომხეთის საზღვრების პარალელურად არის გაშლილი და სურამის და იმერეთის ქედები, რომელიც აკავშირებს დიდ კავკასიონს და მცირე კავკასიონს, ქმნიან ბუნებრივ ბარიერებს, რაც ნაწილობრივ განაპირობებს კულტურულ და ლინგვისტურ განსხვავებებს რეგიონებს შორის. საქართველოში დაახლოებით 25,000 მდინარეა, ბევრ მათგანზე მცირე ჰიდროელექტროსადგურია. სადრენაჟე სისტემა ჩადის შავ ზღვაში დასავლეთით და აზერბაიჯანის გავლით კასპიის ზღვაში აღმოსავლეთით.

სურათი 1. საქართველოს რუკა

5.2 ბუნებრივი გარემო

საქართველო, როგორც კავკასიის ეკო-რეგიონის ნაწილი, წარმაოდგენს 34 ბიომრავალფეროვნების „ცხელ წერტილს“, რომელიც ორგანიზაციის „Conservation International“-ის მიერ დადგენილია, როგორც გამორჩეული ტერიტორიები მაღალი დონის ენდემიზმის გამო, თუმცა ამავდროულად მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება ჰაბიტატის დაკარგვის გამო. კავკასიის ეკო-რეგიონს ასევე გლობალური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ, მრავალფეროვნების და ენდემიზმის მაღალი დონის გამო, თუმცა ასევე განსაკუთრებული ევოლოციური პროცესების და უნიკალური ისტორიული ფლორის და ფაუნის განვითარების გამო.

მთებს ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია: ქვეყნის 54% მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 მ-ზე მეტ სიმაღლეზე. ტყეები ფარავს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს. ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეების ტყეები, რომლებიც მდიდარია ენდემური და იშვიათი სახეობებით, სახელმწიფოს ნამდვილი საგანძურია, საქართველოს ტყეების 97% ბუნებრივია. ტყით დაფარული მიწების მნიშვნელოვანი უმეტესობა (98%) წარმოდგენილია მთიანი ტყეებით, რაც უზრუნველყოფს ეკოსისტემის ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა წყლის რეგულირება, ნიადაგის დაცვა და კლიმატის სტაბილიზაცია, თუმცა ამავდროულად მნიშვნელოვანი ჰაბიტატია მრავალი რელიქტური, ენდემური და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი მცენარეთა და ცხოველთა სახეობებისთვის. საქართველოს ფლორა ერთ-ერთი უმდიდრესია ქვეყნებს შორის, ზომიერი კლიმატით, 4130 ჭურჭლოვანი მცენარეთა სახეობებით, მათ შორის 900 სახეობა (დაახლოებით 21%) კავკასიური ან ქართული ენდემური სახეობებია. ქვეყნის ფაუნის კომპონენტების თვალსაზრისით, აღწერილ იქნა 16,054 სახეობა, მათგან 758 ქორდიანებია. კავკასიის ენდემურ სახეობებს შორის წარმოდგენილია 19 ძუძუმწოვარი, სამი ფრინველი, 15 რეპტილია და სამი ამფიბია, ხოლო ქართული ენდემური სახეობები წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სახეობით - აჭარული ხვლიკი. დაცვის ზომები განხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, თუმცა უპირატესად არსებულ საკომუნიკაციო დერეფნებში, მინიმალური ეკოლოგიური ზემოქმედებით.

5.3 სიღარიბე, სოციალური და გენდერული საკითხების შეფასება

საქართველომ ყოფილი საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991 წელს, თუმცა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და კონფლიქტმა ხელი შეუშალა ქვეყნის განვითარებას. 2000 წლების პირველ დეკადაში ადგილი ჰქონდა სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, თუმცა ხანმოკლე დროით, 2008 წელს რუსეთის ფედერაციასთან კონფლიქტის და გლობალური ფინანსური კრიზისის გამო 2008-2009 წლებში. 2010 – 2014 წლებში აღინიშნა სწრაფი ეკონომიკური განვითარება, მთლიანი შიდა

პროდუქტის (მშპ) წლიური ზრდით 11.6 ტრილიონი აშშ დოლარიდან 16.5 ტრილიონ აშშ დოლარამდე და მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) სულ მოსახლეზე - 3,000 აშშ დოლარიდან 2010 წელს - 4,490 აშშ დოლარამდე 2014 წელს. თუმცა ზრდის ტემპი ოდნავ დაეცა 2014-2016 წლებში, მშპ შეადგენდა 14.38 მილიარდ აშშ დოლარს და მეშ სულ მოსახლეზე 3,830 აშშ დოლარს. თუმცა ეკონომიკური ზრდა არათანაბრად განაწილდა, ძირითადად ქალაქის ტერიტორიებზე, კერძოდ დედაქალაქში, თბილისში. მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეოთხედი (21.9%) ცხოვრობს სრულ სიღატაკეში. ქალები შეადგენენ უღატაკესი ფენის მნიშვნელოვან წილს და ღარიბ ფენას შორის ჭარბობს ოჯახები, რომლებსაც ქალები უძღვებიან. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სიღარიბის დონე 42.7%-დან დაახლოებით 20%-მდე შემცირდა 2010-2015 წლებს შორის, აღმოსავლეთ ევროპის და შუა აზიის რეგიონში ეს მაჩვენებელი კვლავ უმაღლესი რჩება.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გენდერული თანასწორობისთვის ხელსაყრელი გარეომს შექმნაში ბოლო 30 წლის განმავლობაში. თანაბარი უფლებების აღიარება ყველასთვის კონსტიტუციის ქვაკუთხედს წარმოადგენს და მოქმედებს კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს დისკრიმინაციის დაუშვებლობას და ქალთა უფლებებს. თუმცა, ეს ზომები არ გარდაიქმნა საერთო წარმატებად რეგიონულ და გლობალურ დონეზე გენდერული თანასწორობის შედეგების შედარების მიხედვით. 2017 წელს საქართველომ 94-ე ადგილი დაიკავა 144 ქვეყანას შორის, 2016 წელს ეკავა 90-ე ადგილი, 2010 წელს - 88 და 2006 წელს - 54. გენდერული თანასწორობის ამგვარი შეფასებით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის და შუა აზიის რეგიონის ქვედა საფეხურის ხუთ ქვეყანაში შედის, და წინ უსწრებს ტაჯიკეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს და უნგრეთს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ თითქმის მიაღწია გენდერულ პარიტეტს განათლების სფეროში, ქვეყანას სჭირდება შემდგომი გაუმჯობესება ეკონომიკური სტატუსის და პოლიტიკური აქტიურობის ძირითადი გლობალური ინდიკატორების კუთხით. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის ბოლო მაჩვენებლების შესაბამისად, ქალთა ეკონომიკური აქტივობის წილი შეადგენდა 57.3%-ს, ხოლო მამაკაცების - 78.4%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წელია ქალი პარლამენტარების რაოდენობა გაიზარდა, 2017 წელს ქალებს პარლამენტში მხოლოდ 16% უკავია. საქართველომ ქალთა პოლიტიკური გაძლიერების კუთხით 144 ქვეყანაში 114-ე ადგილი დაიკავა 2017 წლის მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის (WEF) გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) მიხედვით. საქართველოში ასევე დარღვეულია სქესთა თანაფარდობა დაბადებისას.

მოსახლეობის სხვა მოწყვლად და სოციალურად დაუცველ ჯგუფებში, რომლებზეც შესაძლოა პოტენციურად არაპროპორციული ზემოქმედება მოახდინოს პროექტმა ან

თანაბარი სარგებელი არ მიიღონ პროექტიდან, იმის გამო, რომ არ აქვთ ხმის მიცემით ან თანაბარი საშუალებებით მოსაზრების გამოხატვის და პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობა,შედიან: ასაკოვანი ქალები და მამაკაცები, იძულებით გადაადგილებული პირები (IDPs), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მათი ოჯახები და მეურვეები, მათ შორის არააქტიური ახალგაზრდობა და ეთნიკური უმცირესობები.

მოხუცებულები მოსახლეობის დიდ წილს შეადგენენ შორეულ სოფლებში. მათ აქვთ საკუთარი შინამეურნეობაზე დაფუძნებული მიკრო და მცირე საწარმოები, როგორიცაა საოჯახო სასტუმროები / „გესთჰაუზები“, კაფეები, რესტორნები, მაღაზიები, და სხვა. თუმცა მათი ცოდნა და გამოცდილება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში დაბალია, შესაბამისად მათ მიერ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის გამოყენება მოითხოვს დამატებით საინფორმაციო-პროპაგანდულ სამუშაოს და პროფესიულ სწავლებას. მობილობის შეზღუდვები და დიდი მანძილი ასევე ხელს უშლის ასაკოვან მოსახლეობას მონაწილეობა მიიღონ საპროექტო აქტივობებში. ხელმისაწდვომობა ასევე ერთ-ერთი პრობლემაა, რადგან მათი შინამეურნეობები ხშირ შემთხვევაში ფიქსირებულ ფულად შემოსავალზეა დამოკიდებული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ცხინვალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDPs) რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 7 პროცენტს შეადგენს. ამ სახით საქართველო შედის იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDPs) უმაღლესი მაჩვენებლები აქვთ მსოფლიოში. იძულებით გადაადგილებულ პირებს კონკრეტულად ექმნებათ ისეთი პრობლემები, როგორიცაა დასაქმების დაბალი წილი, აქტივების საკუთრების დაბალი წილი, სუსტი სოციალური ქსელები და ნაკლებად უზრუნველყოფილი საცხოვრებელი. იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსახლეობის სამი მეოთხედი წარმოდგენილია ქალაქებში, შესაბამისად IDPs წილი სამიზნე საპროექტო ტერიტორიებზე (შორეულ და სასოფლო ტერიტორიებზე) შესაძლოა დაბალი იყოს; თუმცა გათვალისწინებული უნდა იყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDPs) ინფორმირებულობის ამაღლების და ტრენინგის საჭიროება იმ პირობით, რომ ასეთი ჯგუფები წარმოდგენილი იქნება სამიზნე დასახლებებში. ბუნებირივ კატასტროფების, როგორიცაა მეწყერი, შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები (IDPs) („ეკო-მიგრანტები“) ასევე წარმოდგენილია საქართველოს ბევრ რეგიონში და მათი საჭიროებები თანაბრად უნდა იქნას გათვალისწინებული პროექტში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ბოლო ეროვნული აღწერის (2014) შესაბამისად, შეადგენს მოსახლეობის 8 პროცენტს. შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირებს, ასევე მათ ოჯახებს და მეურვეებს ექმნებათ რიგი დაბრკოლებები განვითარების პროექტებზე და მომსახურებებზე წვდომის კუთხით - ფიზიკური ბარიერები ხელმიუწვდომელი ინფრასტრუქტურის, შესაბამისი ტრანსპორტირების არარსებობის, დაბალი შემოსავლების გამო, შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების განათლების დონე და დასაქმების მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში დაბალია, ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამის და ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ქვეყნის ყველა ნაწილში. გარდა ამისა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ხშირ შემთხვევაში განიცდიან სოციალურ სტიგმას თავიან საზოგადოებაში, რაც ხელს უწყობს მათ ჩრდილში ყოფნას და ნაკლებ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობებში, სივრცეებში, მარკეტებში და მომსახურებებში.

ახალგაზრდები, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგს, საქართველოს ახალგაზრდების თითქმის მესამედს შეადგენენ. ახალგაზრდებს, რომლებიც ცხოვრობენ სოფლად და შესაძლოა გახდნენ პროექტის პოტენციური ბენეფიციარები, აქვთ შესაძლებლობა გაიუმჯობესონ საკუთარი ცხოვრების დონე და გამოიყენონ შესაძლებლობები თავიანთ საზოგადოებაში ინტერნეტის და ტექნოლოგიების უფრო პროდუქტიულად გამოყენების გზით. ამ სახით, ახალგაზრდები, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგს (NEETs) ასევე წარმოადგენენ სამიზნე ჯგუფს პროექტის II კომპონენტის აქტივობებისთვის, რომლის მიზანი ციფრული წიგნიერება და ინტერნეტის პროდუქტიული გამოყენების გაუმჯობესებაა.

ეთნიკური უმცირესობა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტის შეადგენს. ორ უმსხვილეს უმცირესობის ჯგუფს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები და სომხები. ისინი კონცენტრირებული არიან საქართველოს შეღცეულ რეგიონებში (სომეხი უმცირესობა - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და აზერბაიჯანელი უმცირესობა ქვემო ქართლის რეგიონში, ასევე ნაკლები მოცულობით კახეთის რეგიონში), თუმცა მათი წარმომადგენლები მთელ ქვეყანაში შეიძლება იყოს გაბნეული. საქართველოში აზერბაიჯანელი უმცირესობების მხოლოდ 19 პროცენტი და სომეხი უმცირესობების 40 პროცენტი ფლობს ქართულ ენას. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი მოანწილეობა მიიღონ სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციაზე და მიიღონ სარგებელი არსებული მომსახურებებიდან და პროექტებიდან. პროექტში შეტანილი იქნება მორგებული ინფორმაციულ-პროპაგანდული ზომები, როგორიც აღწერილია დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმაში (SEP), უმცირესობათა ჯგუფების კონსულტაციებში და ციფრული წიგნიერების აქტივობებში მათი ჩართვის მიზნით. უმცირესობების კონცენტრაციის არსებობის შემტხვევაში, პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს კურატორის ხელმისაწდვომობა, რომელიც საუბრობს უმცირესობის ენაზე

და ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნას საპროექტო მასალების თარგმანი მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ენაზე, ქართულის გარდა.

Log-In Georgia პროექტის მიზანია ხელმისაწდვომ მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან მომსახურებებზე წვდომის გაუმჯობესება საპროექტო ტერიტორიებზე საქართველოს ყველა რეგიონში, ციფრული მომსახურებების გამოყენების ხელშეწყობა და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის ზრდა მოწყვლადი მოსახლეობის მიზნობრივი მხარდაჭერით. მსოფლიო ბანკის ბოლო კვლევა სოციალური იზოლაციის შესახებ საქართველოში, ასახავს მოწყვლად მოსახლეობას, რომელთა დიდი ნაწილი ცხოვრობს სოფლის ტერიტორიაზე. მათში შედიან ასაკოვანი ქალები და მამაკაცები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობები და იძულებით გადაადგილებული პირები (IDPs). პროექტის ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის აქტივობები კონკრეტულად ორიენტირებული იქნება აღნიშნულ მოწყვლად მოსახლეობაზე. ამ ჯგუფების უმეტესობა, მათი სივრცითი ან სოციალური იზოლაციის გამო, კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის განათლების მიღების, შემოსავლის გამომუშავების, საჯარო ან ფინანსურ მომსახურებებზე წვდომის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე პროექტი ორიენტირებული იქნება ასეთ ჯგუფებზე და გაითვალისწინებს მორგებულ საინფორმაციო-პროპაგანდულ ღონისძიებებს საპროექტო აქტივობებში მათი ჩართულობის და მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

6. ინსტიტუციური ბაზა

ამ ნაწილში მითითებულია Log-In Georgia პროექტის განხორციელების ღონისძიებები; ასევე სახელმძღვანელო პრინციპები განმახორციელებლებისთვის და პარტნიორებისთვის.

„ოუფენ ნეტი“ არის პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც დააფუძნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროექტის განხორციელებაში, კერძოდ პროექტის 2 კომპონენტთან დაკავშირებით. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც შეიქმნა 2000 წლის 1 ივლისს და პასუხისმგებელია სამაუწყებლო და ელექტრონულ საკომუნიკაციო სექტორებზე. კომისია არის კოლეგიალური ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც არეგულირებს სატელევიზიომაუწყებლობას, ადიო-მაუწყებლობას, ფიქსირებულ / მობილურ სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურებებს. პროექტს ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“

განახორციელებს ხუთი წლის განმავლობაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) ზედამხედველობით. „ოუფენ ნეტი“ იქნება პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს 1.1. ქვე-კომპონენტს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან (MOESD) ერთად განახორციელებს 1.2 (ა), 1.2 (გ) და 2.1, ქვე-კომპონენტებს და კომუნიკაციების ეროვნული კომისიასთან(ComCom) ერთად განახორციელებს 1.2 (ბ), 2.2 და 2.3 ქვე-კომპონენტებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MOESD) და კომუნიკაციების ეროვნული კომისია (ComCom) ასევე იქნებიან განმახორციელებელი სააგენტოები პროექტის ფარგლებში. შეიქმნება პროექტის საკოორდინაციო ჯგუფი (PCG), პროექტის დირექტორთან (როგორც თავმჯდომარე) ერთად, კოორდიანციის და თანმიმდევრული განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით განმახორციელებელი სააგენტოების ფარგლებში. პროექტის საკოორდინაციო ჯგუფი (PCG) წელიწადში ორჯერ წარმოადგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების პროცესის შესახებ და განსაზღვრავს საკითხებს, რომელიც უნდა მიეწოდოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) მინისტრს. „ოუფენ ნეტი“ ასევე განახორციელებს „ოუფენ ნეტის“ ქსელის ოპერირებას მისი გაყვანის შემდეგ და შესთავაზებს საბითუმო მომსახურებებს მესამე მხარის მომსახურების პროვაიდერებს(SP); თუმცა არ შესთავაზებს საცალო მომსახურებებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) მინისტრის მოადგილე, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორის ზედამხედველობაზე, დაინიშნება პროექტის დირექტორად. განმახორციელებელ სააგენტოებს შორის მდგრადი თანამშრომლობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის. აღნიშნული ღონისძიებები დარეგულირდება პროექტის ოპერირების სახელმძღვანელოში (POM) მითითებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და პროცედურების საფუძველზე და გამოიყენება პროექტის განხორციელებაში მონაწილე სააგენტოებს შორის გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე.

„ოუფენ ნეტი“ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESSs) დანერგვას, შესყიდვებს, ფინანსურ მართვას, ანგარიშგებას და დავალებების მონიტორინგს ყველა საპროექტო აქტივობებში. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (ComCom) ტექნიკური ხელმძღვანელობით განხორციელებულ საქმიანობებთან დაკავშირებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისია პასუხისმგებელია პროექტზე, ტექნიკურ სპეციფიაკციებზე და მოთხოვნებზე და კონტრაქტის მართვაზე, თუმცა ყველა კონტრაქტი კონსულტანტებთან, სამუშაოების მიმწოდებლებთან და მომწოდებლებთან გაფორმებული უნდა იყოს „ოუფენ ნეტის“ მიერ. სხვადასხვა ქვე-კომპონენტებისთვის, წამყვანი სააგენტო მონაწილეობას იღებს

შეფასების კომიტეტებში შესყიდვებთან დაკავშირებით და ხელს მოაწერს კონსულტანტის და კონტრაქტორის ყველა ანგარიშ-ფაქტურას „ოუფენ ნეტისთვის“ გადახდის განხორციელების მოთხოვნის წარდგენამდე. ასეთი შეთანხმება ითვალისწინებს ცენტრალიზებულ მიდგომას პროექტის განხორციელების განყოფილებების მიმართ, კერძოდ შესყიდვების, ფინანსური მართვის და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის კუთხით.მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული სამუშაოების განხორციელებაში „ოუფენ ნეტის“ პერსონალის გამოუცდელობის გათვალისწინებით, პროექტი აფინანსებს კონსულტანტებს საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის მინიმალური ინსტიტუციური პოტენციალი მოიცავს სპეციალისტების დაქირავებას რომლებიც კომპეტენტურები არიან სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ გარემოს დაცვის, სოციალურ და შრომის უსაფრთხოების საკითხებში. „ოუფენ ნეტმა“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (ComCom) და „ოუფენ ნეტის“ ძირითადი პერსონალის გარდა, შესაძლოა დაიქირაოს გარეშე კონსულტანტები. მონიტორინგი და შეფასება (M&E) უზრუნველყოფილი იქნება დაქირავებული ზედამხედველი კომპანიის მიერ.

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტის პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტების განხორციელების ხელმძღვანელობა;
- საპროექტო საქმიანობების შესაბამისობის უზრუნველყოფა მსოფლიო ბანკის რელევანტურ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან (ESSs), ESF ინსტრუმენტებთან და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ეროვნულ კანონმდებლობასთან.
- ყველა ქვე-პროექტის ეკოლოგიური და სოციალური სკრინინგი (i) იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვე-პროექტი არ არის მიღებული შემდგომი დამუშავებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მისი ეკოლოგიური და სოციალური რისკები არსებითი ან მაღალია, (ii) აღწერს ქვე-პროექტისთვის დამახასიათებელ ეკოლოგიურ და სოციალურ რისკებსა და ზემოქმედებებს, (iii) განსაზღვრავს უნდა შემუშავდეს თუ არა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა (ESMP) ქვე-პროექტთან დაკავშირებით დადგენილი რისკების და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების ადდეკვატურად მართვის მიზნით, (iv) ადგენს მიწის ჩამორთმევის ან ნებისმიერი სახის იძულებით განსახლების საჭიროებას, განსაზღვრავს განსახლების დოკუმენტაციის ადეკვატურ ფორმატს (განსახლების სამოქმედო გეგმა / RAP ან შემოკლებული RAP), ადგნს და უზრუნველყოფს ხარისხს; აკონტროლებს კონსულტაციებს განსახლების

სამოქმედო გეგმის (RAP) შესახებ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან, აკონტროლებს კომპენსაციის გადახდის დასრულების, საცხოვრებელი პირობების აღდგენის და განსახლების პროცესს და დამაკმაყოფილებელი დასრულების ანგარიშის წარდგენას სამუშაოების დაწყების ნებართვის გაცემამდე მოცემული ქვე-პროექტის ობიექტზე.

- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) შემუშავება ქვე-პროექტებთან დაკავშირებით ზომიერი ეკოლოგიური და სოციალური რისკებით; მათი გასაჯაროვება ქართულ და ინგლისურ ენებზე „ოუფენ ნეტის“ ვებ-გვერდებზე; დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის ორგანიზება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) პროექტის შესახებ; მონაწილეობის მიღება დაინტერესებულ პირებთან საკონსულტაციო შეხვედრებში, საკონსულტაციო კრებების ოქმების შედგენა, სურათების გადაღება და მონაწილეთ საკონტაქტო ინფორმაციის და ხელმოწერების მოპოვება; და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) საბოლოო ვერსიებზე საზოგადოების შესაბამისი კომენტარების შეტანა;
- სამუშაოების გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ხარისხის უზრუნველყოფა, გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ყოველთვიური საველე ანგარიშების ადეკვატურობის და სრულყოფილების უზრუნველყოფა ნებისმიერი შეუსაბამობის დოკუმენტირებაში, ინფორმაციის მიწოდების გარანტია სამუშაოების პროვაიდერებისთვის დადგენილი ხარვეზების გამოსწორების შესახებ და რეკომენდებული ქმედებების შედეგების შემოწმება.
- „ოუფენ ნეტის“ ხელმძღვანელობის გაფრთხილება მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რომლებიც გამოვლინდა გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის საფუძველზე და რეკომენდებული გამოსწორების ზომები.
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში (ESMF) და დაინტერესებულპირთა ჩართულობის გეგმაში (SEP) აღწერილი საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) მუშაობის ზედამხედველობა და მისი ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- პროექტის შრომის მართვის პროცედურის (LMP) განხორციელების უზრუნველყოფა, რამდენადაც ისინი უკავშირდება სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორების და კონტრაქტთ აყვანილი მუშახელის სამუშაოებს („ოუფენ ნეტის“ შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტთან თანამშრომლობით).
- ანალიტიკური მასალების წარდგენა პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების / ეფექტურობის შესახებ პოექტის განხორციელების საერთო ანგარიშგებაში შეტანის მიზნით.

- „ოუფენ ნეტის“ ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის დაუყოვენბლივ მიწოდება ეკოლოგიური და სოციალური ინციდენტების შესახებ საპროექტო ობიექტზე ან მის გარშემო, რომელიც მატერიალურ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და/ან გარემოს და ინივიატივის აღება ინციდენტის შეტყობინების ანგარიშის მომზადებაში, მისი ძირითადი მიზეზების ანალიზში და გამოსწორების სამოქმედო გეგმის შედგენაში მსოფლიო ბანკისთვის წარდგენის მიზნებისთვის.

რეგიონებთან ურთიერთობის მენეჯერის პასუხისმგებლობებში :

- პასუხისმგებლობის აღება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) განხორციელებაზე და მოქალაქეთა ჩართულობის ღონისძიებების გატარებაზე პროექტის ყველა ასპექტთან დაკავშირებით. ისინი მონაწილეობას მიიღებენ საჯარო კონსულტაციების პროცესში თითოეულ ქვე-პროექტთან დაკავშირებით მოთხოვნის შეფასების ეტაპზე და გააგრძელებენ ჩართულობის კოორდინაციას 2 კომპონენტის აქტივობის განხორციელებით - ტრენინგი გამოყენების ვარიანტებზე და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის მხარდაჭერა. აღნიშნული ინდივიდუალური პირი იქნება პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის მთავარი პირი. და იკისრებს შემდეგ პასუხისმგებლობებს:
- იმის უზრუნველყოფა, რომ საკონტაქტო ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ ხელმისაწვდომი იყოს ყველა ქვე-პროექტის ობიექტზე და ამასთან ადვილად წვდომადი ადგილობრივი მოქალაქეებისათვის და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის, და რომ საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) ჩანაწერები მოიცავდეს ინფორმაციას საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) პროცესის, პროცედურების და მომსახურების სტანდარტების შესახებ.
- იმის უზრუნველყოფა, რომ ადგილობრივი ორგანოები ინფორმირებული იყოს საჩივრების განხილვის მექანიზმის და მათი ფუნქციების და პასუხისმგებლობების შესახებ.
- „ოუფენ ნეტის“ მიერ მიღებული საჩივრების აღრიცხვა/ჩაწერა, გადაწყვეტა და კომპეტენტური ორგანოებისთვის მიწოდება; და გადაწყვეტა.
- საჩივრების განხილვის ჟურნალის წარმოება; იმის უზრუნველყოფა, რომ ადეკვატური ყურადღება დაეთმოს გენდერულ საკითხებს ყველა კვლევაში და დემოგრაფიული, ფიზიკური, ეკონომიკური და ფინანსური მონაცემების შეგროვებასა და ანალიზში, ამ მიზნის მისაღწევად;
- იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტის ყველა რელევანტურ ასპექტზე ჩატარდეს გენდერული ნიშნით დაყოფის ანალიზი.

- ანგარიშის წარდგენა ქალების და მამაკაცების მონაწილეობის შესახებ და მათთვის ქვე-პროექტების დაგეგმვის და განხორციელების ფაზებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების მიცემა.

შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტის პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- Log-In Georgia პროექტის სხვადასხვა კომპონენტებთან დაკავშირებული ყველა სამუშაოსთვის უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- სამუშაო გარემოს, მოწყობილობის და პრაქტიკების შემოწმება, გამოცდა და შეფასება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის ჯგუფის EHS სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებულ სტანდარტებს, საუკეთესო საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკას და ეროვნულ რეგულაციებს.
- სამუშაო ადგილის პროცესების და პროცედურების შედგენა და განხორციელება, რაც დაიცავს მუშახელს საშიში სამუშაო პირობებისგან;
- ერლევანტური EHS ტრენინგის უზრუნველყოფა მუშახელისთვის;
- ზომები მიღება მსოფლიო ბანკის დაუყოვნებლივ ინფორმირებისთვის ნებისმიერი ეკოლოგიური და სოციალური ინციდენტის / შემთხვევის შესახებ, რომელიც მატერიალურ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და/ან გარემოს, ინციდენტების და შემთხვევების კვლევა მათი ძირითადი მიზეზების დადგენის და გამოსწორების ზომების შემუშავების მიზნით, ასევე სათანადო ზომების მიღება სამუშაო ობიექტების უსფართხოების დაცვისთვის იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები შეჩერდება და კონტრაქტორი დემობილიზებული იქნება ობიექტიდან.

სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა:

სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი, უნდა განახორციელოს დაქირავებულმა სამშენებლო საზედამხედველო კომპანიამ. ტექნიკური ზედამხედველის გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობა მოიცავს და არა მხოლოდ შემდეგს:

- სამუშაოების რეგულარული საველე გარემოსდაცვითი, შრომის უსაფრთხების საკითხებისა და სოციალური მონიტორინგის უზრუნველყოფა ყველა აქტიურ სამუშაო ობიექტზე;

- ყოველთვიური საველე გარემოსდაცვითი, შრომის უსაფრთხოების და სოციალური მონიტორინგის საკონტროლო ჩამონათვალის შევსება და დათარიღებული ფოტო დოკუმენტაციის შექმნა.
- სამუშაოების პროვაიდერებისთვის ინფორმაციის მიწოდება ნებისმიერი გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორების შესახებ ეკოლოგიურ და სოციალურ ეფექტურობაში და ასეთი ზომების განხორციელების კონტროლი.
- აღრიცხვა და „ოუფენ ნეტის“ დაუყოვნებლივ ინფორმირება ნებისმიერი ეკოლოგიური და სოციალური ინციდენტის შესახებ რომელიც მატერიალურ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და/ან გარემოს; თავდაპირველი ანგარიშგების შემდეგ, „ოუფენ ნეტთან“ თანამშრომლობა ინციდენტის შესახებ მტკიცებულებების მოპოვებასთან, მისი ძირითადი მიზეზების დადგენის, გამოსწორების ზომების შემუშავების და კონტრაქტორების მიერ მათი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

სამშენებლო კონტრაქტორები

„ოუფენ ნეტი“ დაიქირავებს სამშენებლო კონტრაქტორებს სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით. კონტრაქტორები პასუხისმგებელნი იქნებიან სრულად შეასრულონ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა (ESMP), რომელიც დაერთვება სამუშაოების კონტრაქტებს და შესასრულებალდ დაეკისრება მათ. „ოუფენ ნეტისგან“ მიღებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMP) საფუძველზე, სამშენებლო კონტრაქტორები შეიმუშავებენ გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის (EHS) გეგმებს, სადაც განმარტებულია მათი მიდგომები დამქირავებლის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMP) განხორციელების კუთხით და წარმოდგენილია მოთხოვნილი ქმედებების ტექნიკური დეტალები და სპეციფიკაციები. კონტრაქტორებს ასევე უნდა ჰქონდეთ ეკოლოგიური და სოციალური სფეროს ქცევის კოდექსი, რომელსაც უნდა გაეცნოს და შეასრულოს თითოეულმა პერსონალმა. სამუშაოების კონტრაქტორს არ აქვს უფლება დაიქირაოს პირი ოფიციალური ინდივიდუალური სამუშაო ხელშეკრულების / კონტრაქტის გაფორმების გარეშე. ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა.

კონტრაქტორის პასუხისმგებლობები მოიცავს კავშირს ქვე-პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებასთან, რომელიც ითვალისწინებს და არა მხოლოდ შემდეგს:

- სამუშაო ობიექტზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა პერსონალისთვის და სამუშაო ობიექტზე გარეშე წვდომის პრევენცია საზოგადოების უსაფრთხოების და ინციდენტების პრევენციის მიზნით.

- სამშენებლო კომპანიის სახელის და საკონტაქტო ინფორმაციის განთავსება სამუშაო ობიექტის ახლოს, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შესასრულებელი სამუშაოების საერთო ტიპის და ხანგრძლიობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით.
- ადგილობრივი მოსახლეობის წინასწარ გაფრთხილება კომუნალური მომსახურებების შეწყვეტის შესახებ, ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების გამო, შეწყვეტის ხანგრძლიობის და დროის მითითებით.
- „ოუფენ ნეტის“ ინფორმირება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საკითხების შესახებ, თუ მათი გადაწყვეტა ადგილზე არ შეუძლია კონტრაქტორს.

ასევე სამშენებლო კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება ობიექტზე ყველა საქმიანობის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში და ასეთი აღმოჩენების შესახებ შემკვეთის დაუყოვნებლივ ინფორმირება. კონტრაქტორს ეკრძალება მიიღოს ნებისმიერი დამატებითი ზომა „ოუფენ ნეტისგან“ წერილობითი შეტყობინების მიღებამდე.

სამშენებლო კონტრაქტორი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ აცნობოს სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველს და „ოუფენ ნეტს“ ნებისმიერი ეკოლოგიური და სოციალური ინციდენტის შესახებ, რომელიც მატერიალურ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და/ან გარემოს, ასევე ვალდებული იქნება ითანამშრომლოს მათთან კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენაში და მიიღოს მითითებული გამოსწორების ზომები.

სხვა ცენტრალური სახელმწიფო უწყებები

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო . საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა გარემოს დაცვაზე საქართველოში. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დეპარტამენტი განიხილავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს იმ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ნებართვის გაცემას და გასცემს დადებით ან უარყოფით დასკვნებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. დადებითი დასკვნა მოითხოვება სამშენებლო ნებართვის მოსაპოვებლად. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) ვალდებულია განახორციელოს კონტროლი სამშენებლო სამუშაოების შესაბამისობაზე მიღებული გადაწყვეტილების პირობებთან და დებულებებთან, ასევე ნებისმიერი საქმიანობის შესაბამისობაზე მოქმედ გარემოსდაცვით

კანონმდებლობასთან. Log-in Georgia პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოები არ ექვემდებარება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გარემოსდაცვით განხილვას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, უზრუნველყოფს ოფიციალურ თანხმობას სამშენებლო ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები უნდა ჩატარდეს კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიებზე ან ისტორიულ ობიქტებზე. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას ქვე-პროექტის ობიექტზე, „ოუფენ ნეტმა“ ამის შესახებ უნდა აცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და მიიღოს ინსტრუქციები მომავალ სამოქმედო კურსზე. „ოუფენ ნეტს“ არ აქვს უფლება გასცეს სამუშაოების განახლების ნებართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანხმობის მოპოვებამდე, სადაც დადასტურებულია, რომ მიღებულია ყველა სასწრაფო ზომა არქეოლოგიური მემკვიდრეობის დასაცავად.

7. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგის და შეფასების წესები და პროცედურები

პროექტის ინტერვენციისთვის ბენეფიციარი დასახლებების შერჩევას განახორციელებს „ოუფენ ნეტი“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (ComCom) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „თეთრ ზონებად“ კლასიფიცირებულია დასახლებები, რომელთა მოსახლეობა აღემატება 200 მაცხოვრებელს და სადაც ოპერატორები არ გეგმავენ ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობას პროგრამის დაწყებიდან სამი წლის განმავლობაში. საფაზო ქსელის მშენებლობის კრიტერიუმები შემუშავდება და შეთანხმებული იქნება პროექტის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (ICT) პასუხისმგებელი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგის მიზანია შეთავაზებული ქვე-პროექტების ეკოლოგიური და სოციალური რისკების შეფასება და მათი შესაბამისობის შემოწმება დაფინანსებისთვის პროექტის ფარგლებში. ეს ღონისძიება განხორციელდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგის ფორმების გამოყენებით (ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის ***1 და 2 დანართები***). მისაღები საქმიანობებისთვის სკრინინგის შედეგები მოიცავს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESA) ტიპის და მოცულობის დადგენას როგორც

მოითხოვს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები (ESS1), ასევე გარემოსდაცვითი ეროვნული კანონმდებლობა.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ESA) მოიცავს (i) დეტალურ ტექნიკურ ინფორმაციას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებების შესახებ ცალკეული ქვე-პროექტებიდან სამშენებლო და საექსპლუატაციო ფაზებში; (ii) შერბილების ზომების შერჩევას და დასაბუთებას რომელიც გამოიყენება ცალკეულ ქვე-პროექტებზე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში (ESMF) მითითებული მოქმედებების შერეული კრებულიდან; და (iii) დეტალური გეგმის წარმოდგენას ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის მონიტორინგისთვის ცალკეული ქვე-პროექტების მიხედვით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESA) მონაცემები ასევე შეტანილია ქვე-პროექტების შედგენის პროცესში გარემოსდაცვითი, კლიმატური და სოციალური მგრძნობელობის, მოწყვლადობის და „ცხელი წეტილების“ ზემოქმედებების შესახებ ინფორმირების მიზნით, რომელიც შესაძლოა შემცირდეს ან თავიდან იქნას აცილებული ადეკვატური საპროექტო გადაწყვეტების გამოყენების გზით.

ინფორმაციის გამჟღავნება და საზოგადოების მონაწილეობა იქნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESA) პროცესის განუყოფელი ნაწილი. კონკრეტული ქვე-პროექტებისთვის მომზადებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ინსტრუმენტები გასაჯაროვდება დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი და შესაფერისი ფორმით და ჩატარდება მნიშვნელოვანი კონსულტაციები საზოგადოებრივი აზრის გამოსაკითხად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საზოგადოების და მოსახლეობის, სხვა ადგილობრივი დაინტერესებული პირების, დაუცველი / მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას, და მიეცემათ იმ გადაწყვეტილებებში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა, რომელიც ეხება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების აცილებას ან მართვას.

„ოუფენ ნეტის“ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტი განახორციელებს ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგს და გასცემს დასტურს ან უარს ქვე-პროექტის შესაბამისობის შესახებ ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისიდან გამომდინარე.

8. სენსიტიური რეცეპტორები და პოტენციური ზემოქმედებები

Log-In Georgia პროექტით გათვალისწინებული აქტივობები განხორციელდება სხვადასხვა დასახლებებში ქვეყნის მასშტაბით.

ინფრასტრუქტურის მაგისტრალის განაწილება შესაბამისი დასახლებების მიერთებისთვის არსებულ ეროვნულ საბაზო ქსელებთან დადებით ცვლილებებს შეიტანს ინტერნეტ მომსახურებების მიწოდებაში. მიერთებულ დასახლებებში პროექტით მხარდაჭერილი ტრენინგი და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის საქმიანობები ხელს შეუწყობს ციფრული მომსახურებების გამოყენების ზრდას.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე Log in პროექტის მოსალოდნელი საერთო დადებითი ზემოქმედება იქნება გრძელვადიანი და კუმულაციური ბუნებით და საბოლოოდ ხელს შეუწყობს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური სარგებელის ზრდას.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება აღწერილია ქვემოთ „ოუფენ ნეტის“ სამშენებლო და საექსპლუატაციო ფაზებთან დაკავშირებით. სხვა პროექტით მხარდაჭერილი საქმიანობები უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას და ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურებებს და კვლევებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შეზღუდული პოტენციალით. ზოგადად ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის პასიური ელემენტების მშენებლობასთან დაკავშირებული პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები გარემოზე, სავარაუდოდ დაკავშირებული იქნება მშენებლობასთან, იქნება მოკლევადიანი და ლოკალიზებული. მშენებლობის პერიოდში დაკვირვება განხორციელდება მხოლოდ პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებების მნიშვნელოვან უმრავლესობაზე და ძირითადად განხორციელდება სამუშაოების განხორციელების ობიექტის ფარგლებში.

ზემოქმედების შეფასება განხორციელდა ყველა მსხვილი რეცეპტორის გათვალისწინებით სამშენებლო და საექსპლუატაციო ფაზების განმავლობაში. უარყოფითი ზემოქმედებების ალბათობის შემთხვევისთვის, დადგინდა და შეირჩა შერბილების ზომები შერბილების იერარქიის გამოყენებით.

8.1 სამშენებლო ფაზის ზემოქმედებები

რეგიონისთვის დამახასიათებელი კლიმატის ცვლილებისადმი და ბუნებრივი კატასტროფების რისკებისადმი მედეგობის უზრუნველყოფისთვის, პრიორიტეტი მიენიჭება ოპტიკური კაბელების მიწისქვეშა გაყვანას, რომლის დიზაინი გამძლე უნდა იყოს წყალდიდობის, ძლიერი თოვლი, ქარი, მეწყერი და სხვა ბუნებრივი კატასტროფების მიმართ.

ლანდშაფტების გაუარესება და ნიადაგის ეროზია. ზოგიერთი ტერიტორია სენსიტიურია ნიადაგის ეროზიის მიმართ; აქედან გამომდინარე მიწის სამუშაოების და გათანაბრების სამუშაოების შესრულებამდე, რე-კულტივაციის პერიოდში განხორციელდება ანტი-ეროზიული ზომები.

დაბინძურება სამშენებლო სამუშაოების შედეგად. მანქანა-დანადგარებიდან, და მარაგში არსებული სამშენებლო მასალებიდან ზეთის გაჟონვის შედეგად, ნავთობ-პროდუქტებმა და ქიმიურმა ნივთიერებებმა შესაძლოა შეაღწიოს გრუნტის წყლებში ან ჩავიდეს წყალსატევებში.

ზემოქმედებები ბიომრავალფეროვნებაზე. ზემოქმედება ბუნებრივ ან კრიტიკულ ეკოსისტემებზე და ეკოსისტემის მომსახურებების გაწევაზე არ არის მოსალოდნელი. მცენარეულობისგან გაწმენდა შესაძლოა საჭირო გახდეს მიწის ვიწრო ზოლზე, რომლის ფარგლებში გაყვანილი იქნება ქსელის პასიური ელემენტები. იმის გამო, რომ კაბელები დამონტაჟდება ძირითადად არსებული გზების გასხვისების ზოლის ფარგლებში, ზომიერი ზემოქმედებები სავარაუდოდ მოხდება ტრანსფორმირებულ ჰაბიტატებში. იმ შემთხვევაში, თუ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ტრასა გაივლის განსაზღვრული დაცული ტერიტორიების ან ბიომრავალფეროვნების მაღალი ღირებულების მქონე სხვა ტერიტორიების ახლოს, სამშენებლო დანადაგარების დაუდევარი ექსპლუატაციამ, სამშენებლო მასალების და ნარჩენების არასათანადოდ ორგანიზებულმა დროებითმა საწყობმა და მუშახელის არასათანადო ქცევამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს სენსიტიურ რეცეპტორებზე.

ხმაური, ვიბრაცია და გამონაბოლქვი. ხმაური, ვიბრაცია და გამონაბოლქვი წარმოიქმნება სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების და სატვირთო ტრანსპოტის მოძრაობის პროცესში. არაორგანული მტვრის გამონაბოლქვი, გათხრითი და დატვირთვის სამუშაოების შედეგად და მავნე ნივთიერებების და მტვრის გამონაბოლქვი დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებული დიზელის წვის შედეგად, წარმოიქმნება სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს. შესადუღებელი სამუშოები იწვევს შედუღების აეროზოლის და მანგანუმის

მონოქსიდის გამონაბოლქვს. ბეტონის შემრევების სამუშაო იწვევს ბეტონის მტვრის გამონაბოლქვს.
ამოღებული გრუნტის და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. ზედმეტი ნიადაგი წარმოიქმნება გათხრითი სამუშაოების პროცესში. აზბესტის შემცველი ნარჩენების წარმოქმნა ასევე შესაძლებელია არსებული ინფრასტრუქტურის რელოკაციისას (აზბესტის შემცველი მილები).

სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი საფრთხეები. საფრთხეები შესაძლოა წარმოიქმნას ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სათანადო პრაქტიკის დარღვევის გამო და შესაძლოა გამოიწვიოს ტრამვები და ინციდენტები. მრავალი ადგილობრივი სამშენებლო კომპანიის კორპორატიული კულტურა არ მოიცავს მკაცრ დისციპლინას ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას; გამაფრთხილებელი ნიშნების დამონტაჟება, სამშენებლო ობიექტების დემარკაცია და შემოღობვა; და მოძრაობის მართვა სამუშაო ზონის ფარგლებში და გარშემო. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები განხორციელდება დასახლებები სიახლოვეს ან ფარგლებში, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის არასათანადო პრაქტიკამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე.

მოძრაობის მართვა. იმის გამო, რომ ოპტიკურ- ბოჭკოვანი კაბელები სავარაუდოდ გაყვანილი უნდა იქნას არსებული საავტომობილე გზების დერეფნების ფარგლებში, მნიშვნელოვანია არასათანადოდ მართული მოძრაობის პოტენციური საფრთხეები. სამშენებლო მანქანების და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობამ შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი მოძრაობის დარღვევა და საგზაო ინციდენტების რისკების გაზრდა. ამოღებული მასალების, სხვა ნარჩენების, მანქანა-დანადგარების სამშენებლო მასალების დროებითმა გადაადგილებამ გზის სავალ ნაწილზე ან გზისპირზე შესაძლოა გამოიწვიოს საგზაო ინციდენტები. და ბოლოს უსაფრთხოების ზომების უგულებელყოფამ და მოძრაობის არასათანადო მართვამ შესაძლოა გზის დერეფანში მომუშავე მუშახელი მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების დაჯახების რისკის ქვეშ დააყენოს.

ზემოქმედებები ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე. ზიანი შესაძლოა გამოწვეული იყოს სამშენებლო სამუშაოების არასათანადო განხორციელების გამო, კულტურული და/ან ისტორიული ძეგლის ახლოს.

8.2 საექსპლუატაციო ფაზების ზემოქმედება

საფრთხეები საექსპლუატაციო საქმიანობებიდან. „ოუფენ ნეტის“ ქსელის ექსპლუატაცია არ დააბინძურებს გარემოს წარმოქმნილი ნარჩენებით, ხმაურით ან ვიბრაციით. ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში, ინტერნეტ მომსახურების შენარჩუნებისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს ენერგიის სარეზერვო წყაროს გამოყენება, როგორიცაა აკუმულატორები ან დიზელის გენერატორები, რაც იწვევს გამონაბოლქვს და აკუმულატორების არასათანადო განკარგვის რისკს.

ლოკალიზებული სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედებები. ზემოქმედებები ადგილობრივ მოსახლეობაზე და მათ საქმიანობაზე სავარაუდოდ ზოგადად დადებითი იქნება ინტერნეტზე, ტრენინგზე და ციფრულ ტექნოლოგიებზე გაუმჯობესებული წვდომით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება დროებითი და მუდმივი დასაქმების შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის (როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის), რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას მშენებლობის და ტექნიკური მომსახურებების დროს. პროექტის ბენეფიციარების სახელით ჭარბი მოლოდინების მცირე - ზომიერი რისკები არსებობს დასაქმების შესაძლებლობებთან და ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებით. დამატებით, ეს ხელს შეუწყობს ფიზიკურ პირებს და საწარმოებს დაკავშირებული დასახლებების ფარგლებში ციფრული მომსახურებების გამოყენების გაზრდის მიზნით, რაც განაპირობებს მათი კეთილდღეობის პოტენციურ ზრდას, ტრანზაქციის ხარჯების შემცირებას და შემოსავლის ზრდას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება აღნიშნული ზემოქმედებების მონიტორინგი გენდერული ნიშნით განსხვავების ინდიკატორების გამოყენებით. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობით უფრო მეტი ადამიანი (განსაკუთრებით ახალგაზრდები) დარჩება სოფელში.

9. ზემოქმედების შერბილება

შერბილების ზომები, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას საჭიროების შემთხვევაში (ინფრასტრუქტურის ტიპის, სამუშაოების მოცულობის და სახეობის მიხედვით), განსაზღვრულია ცალკე საპროექტო, სამშენებლო და საექსპლუატაციო ფაზებისთვის. შესაბამისი ზომები შეტანილი იქნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებში (ESMPs), რომელიც მომზადდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ნიმუშის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებით (ESMP-ს ***დანართი 3).***

9.1 „ოუფენ ნეტის“ ქსელის საპროექტო ფაზა

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შერბილების მოთხოვნები

შეტანილი იქნება საბოლოო პროექტებში, ტექნიკურ სპეციფიკაციებში და სატენდერო დოკუმენტებში, რომლებიც უნდა განახორციელოს სამშენებლო კონტრაქტორებმა და ტექნიკური მომსახურების ორგანომ პოტენციური ზემოქმედებების თავიდან აცილების, პრევენციის, მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებში (ESMPs) შეტანილი იქნება მითითებები ბუნებრივი სამშენებლო მასალების ნებადართული მოპოვების შესახებ მოცემული ქვე-პროექტის ობიექტის ახლოს და ნებართვების და შეთანხმებების ჩამონათვალი, რომლებიც მოპოვებული უნდა იქნას შესაბამისი სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებიდან სამშენებლო კონტრაქტორის მიერ.

ვინაიდან Log In Georgia პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო საქმიანობები ითვალისწინებს მიწის სამუშაოებს, ქვე-პროექტის დეტალური გეგმა დაეფუძნება სამუშაო ობიექტების გეოლოგიური პირობების ამომწურავი კვლევით. პროექტები შესწორდება იმისათვის, რომ მცენარეების მოცილების საჭიროება - კერძოდ ხეების ამოძირკვა - მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

9.2 სამშენებლო ფაზა

ლანდშაფტების დაცვა და ნიადაგის ეროზიის მინიმუმამდე დაყვანა. ლანდშაფტების გაუარესების და ნიადაგის ეროზიის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, კონტრაქტორ(ებ)ი შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყენებენ არსებულ კარიერებს ბუნებრივი სამშენებლო მასალებისთვის. უპირატესად გამოიყენება შესაბამისი ამოღებული გრუნტი, ამ სახით შემცირდება კარიერული სამუშაოების საჭიროება. მისასვლელი გზები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნას შერჩეული ლანდშაფტზე ზემოქმედებების და ნიადაგის ეროზიის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ასევე სათანადო უნდა გაკონტროლდეს საგზაო მოძრაობა დადგენილი მარშრუტების ფარგლებს გარეთ სატრანსპორტო საშუალებების თავისუფალი მოძრაობის გამორიცხვისთვის. ადგილის უწესრიგო გაწმენდა და ექსკავაცია არ იქნება ნებადართული.

სამშენებლო სამუშაოების ჩამონადენების მართვა. შესაძლებლობების ფარგლებში გამოიყენება არსებული მისასვლელი გზები, რაც შეამცირებს ახალი გზების დადგენის საჭიროებას. მისასვლელი გზების და სამუშაო ზონების ზედაპირი შემჭიდროვდება ჩამონადენის მინიმუმამდე დაყვანის და ტერიტორიის დატბორვის აცილების მიზნით. სამშენებლო მასალებით ან სედიმენტებით დაცობილი სადრენაჟე სისტემა დაუყოვნებლივ გაიწმინდება დატბორვის პრევენციის მიზნით. ეს მოითხოვს სადრენაჟე თხრილების გათხრას და მათ მიერთებას ბუნებრივ სადრენაჟე ღერძზე / წვიმის წყლების სისტემაზე (მაგ. თუ ხელმისაწვდომია გზის გასწვრივ). საზეთი და საპოხი მასალების შენახვის ობიექტები (თუ ასეთი არსებობს) სათანადოდ უნდა იყოს

აღჭურვილი ნიადაგის და წყლის დაბინძურების რისკების მინიმუმამდე დაყვანისთვის. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების კონტრაქტორს დასჭირდება სამშენებლო ბანაკ(ებ)ის მოწყობა, „სეპტიკ-ტენკი“, რომელიც უნდა განთავსდეს მათ შორის, დამზადებული უნდა იყოს წყალგაუმტარი მასალისგან და უნდა დაიცალოს რეგულარულად. ჩამდინარე წყლები გადატანილი იქნება სპეციალური ტრანსპორტით ცენტრალურ ჩამდინარე წყლების კოლექტორში, ადგილობივი ორგანოებიდან მოპოვებული შეთანხმების საფუძველზე, საპროექტო ფაზის განმავლობაში.

<u>ბიომრავალფეროვნების დაცვა</u>**.** სამუშაოები ჩატარდება მკაცრად განსაზღვრული დერეფნების ფარგლებში. ხეების ამოღება შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე შემცირდება. მოინიშნება ყველა ამოსაღები ხე. ხეების მოჭრის და ხე-ტყის მასალების გადაცემის ნებართვა ითვალისწინებს დადგენილი ოფიციალური პროცედურების დაცვას, აღნიშნული ხეების ქვეშ არსებული მიწის საკუთრებიდან გამომდინარე. დაუშვებული იქნება ხეების გადაჭარბებული რაოდენობით მოჭრა. ყველა დიდი ხე მოინიშნება და შემოიღობება, დაცული იქნება ფესვის სისტემა და თავიდან იქნება აცილებული ხეების დაზიანება. სამუშაოების კონტრაქტორის პერსონალს მკაცრად ეკრძალება ნადირობა, საკვების მოპოვება, ხე-ტყის დამზადება ან სხვა საზიანო საქმიანობები.

<u>ხმაურის, ვიბრაციის და გამონაბოლქვის მართვა.</u> განხორციელდება მტვრის შემცირების ზომები, რომლის მიზანია ჰაერის დაბინძურების პრევენცია მისასვლელი გზების და სამშენებლო ობიექტების მორწყვით. მშენებლობის დროს ჰაერის დაბინძურების დონე ლოკალურად გაიზრდება და აღნიშნული სამუშაოებით გამოწვეული მთავარი დამაბინძურებელი ნივთიერებები მოიცავს მანქანა-დანადგარებიდან გამონაბოლქვ გაზებს და მიწის და ქვის სამუშაოებით გამოწვეულ მტვერს. წყლის მოსხურება მშენებლობის დროს შეარბილებს მტვრის ზემოქმედებებს, ასევე სამშენებლო მასალები, როგორიცაა ქვიშა, ცემენტი ან მსგავსი მასალები სათანადოდ უნდა იყოს დაფარული. სამშენებლო ობიექტზე წარმოქმნილი მტვერი და ხმაური შემცირდება სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის დახურული / დაფარული სატვირთო მანქანების გამოყენებით. მეზობელ დასახლებებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანისთვის სატრანსპროტო საშუალებები აღჭურვილი იქნება ხმაურმაყუჩით და რეგულარულად შემოწმდება მათი სათანადო ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით. გარშემო არსებული ტერიტორია (ტროტუარები, გზები) უნდა გაიწმინდოს ნარჩენებისგან მტვრის შესამცირებლად. სამშენებლო / საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღია ფორმით დაწვა არ დაიშვება. სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. დროებითი ხმაურის ბარიერები შესაძლოა დამონტაჟდეს სამშენებლო ობიექტზე, ხმაურის დონეების შესამცირებლად, რომელიც აღემატება

ზღვრულ მაჩვენებლებს. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ უქმე დღეებში ან არასამუშაო საათებში ან საჯარო დღესასწაულებზე. ხმაურის წარმომქმნელი წყაროები განთავსდება საცხოვრებელი სახლებიდან ან სხვა ხმაურის სენსიტიური რეცეპტორებისგან მოშორებით. იმ შემთხვევაში, თუ მაცხოვრებლები გამოთქვამენ უკმაყოფილებას ხმაურის გამო, კონტრაქტორი ან „ოუფენ ნეტი“ განახორციელებენ ხმაურის მონიტორინგს მოცემულ ლოკაციაზე და განახორციელებენ შერბილების ზომებს იმ შემთხვევაში, თუ ხმაურის დონე ეროვნული რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებს.

<u>ნარჩენების მართვა</u>. მკაცრად დარეგულირდება სამშენებლო ნარჩენების დროებითი საცავები ობიექტზე და ასევე მათი საბოლოო მოცილება. ნარჩენები დროებით შენახული იქნება სამშენებლო ობიექტის განსაზღვრულ ლოკაციებში, რომელიც ხელს არ შეუშლის წვდომას ან არ ქმნის საფრთხეს. ნარჩენების შეგროვების და მოცილების გზები და ობიექტები განისაზღვრება დემონტაჟის და სამშენებლო სამუშაოების ყველა ტიპის ნარჩენისთვის. იმ შემთხვევაში, თუ გათხრითი სამუშაოების განმავლობაში წარმოიქმნება საშიში ნარჩენები, უნდა მოხდეს ნარჩენების შეფუთვა, დემარკაცია და შენახვა საფარის ქვეშ. პერსონალი, რომელიც ამუშავებს საშიში ნარჩენებს, გაივლიან სპეციალურ ტრენინგს და მიიღებენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, რომლის გამოყენება მკაცრად მოითხოვება. ობიექტზე არ დაგროვდება ნარჩენები ჭარბი მოცულობით. ხელშეკრულებები ნარჩენების საბოლოო მოცილებაზე მოიპოვება ადგილობრივი ორგანოებიდან ან გაფორმდება ხელშეკრულებები ნარჩენების მიღების შესახებ სპეციალურ ნაგავსაყრელ პოლიგონებთან. დაშვებული არ იქნება ნებისმიერი ტიპის ნარჩენების თავისუფალი გადაყრა ან ღია დაწვა. ლანდშაფტისბთითქმის თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენა განხორციელდება სამუშაოების დასრულების და სამშენებლო კონტრაქტორის მიერ კარიერების გამოყენების შემდეგ. შესაძლებლობების ფარგლებში კონტრაქტორი ხელმეორედ და სხვა დანიშნულებით გამოიყენებს შესაბამის მასალებს (აზბესტის ან სხვა საშიში მასალების გარდა).

<u>საფრთხეების მართვა</u>. ქსელის პასიური ელემენტების მშენებლობის პროცესში მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი საფრთხეები. კონტრაქტორ(ებ)ს ექნება შრომის დაცვის და უსაფრთხოების გეგმა, სამუშაოების ხელმძღვანელობის და მუშახელისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით. დაცული იქნება ყველა რეგულაცია შრომის, პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების შესახებ. მუშახელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო მოწყობილობით, ასევე დამცავი აღჭურვილობით, კონკრეტული დავალებების მიხედვით, როგორიცაა დამცავი ჩაფხუტები, სპეციალური ტანსაცმელი, ხელთათმანები, სათვალეები, ფეხსაცმელები და სხვა. ობიექტზე ყველა პერსონალისთვის უზრუნველყოფილი

უნდა იყოს სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა. კონტარქტორ(ებ)მა უნდა უზრუნველყონ სამედიცინო პუნქტები ობიექტზე და გადამზადებული პერსონალი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევისთვის. ობიექტის ფარგლებში უნდა განთავსდეს ინფორმაცია მუშახელის ინფორმირებისთვის ძირითადი წესების და რეგულაციების შესახებ.

<u>მოძრაობის უსაფრთხოება</u>. სამუშაოების კონტარქტორ(ებ)ს მოეთხოვებათ შეიმუშაონ და შეათანხმონ „ოუფენ ნეტის“ ინჟინერთან მოძრაობის მართვის გეგმა სატრანსპორტო საშუალებების სამშენებლო მოწყობილობების მოძრაობის დარეგულირების მიზნით, საავტომობილე გზების გასწვრივ სამუშაო ობიექტებზე სათანადო სიგნალიზაციის და გამაფრთხილებელი ნიშნების უზრუნველყოფა და სხვა ზომების მიღება, რომელთა მიზანია საგზაო ინციდენტების აცილება, მუშახელის, საგზაო მოძრაობის და მეზობელი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასევე მოიცავს ტრენინგს მძღოლებისთვის მათი ინფორმირებისთვის უსაფრთხოების წესების და მოთხოვნების შესახებ.

<u>ისტორიული და/ან კულტურული ძეგლების დაცვა</u>. საკაბელო კოლოფების და კაბინების მოწყობის შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის ბუფერულ ზონებში, სამშენებლო ნებართვის გაცემამდე მოპოვებული უნდა იყოს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობა. კონტრაქტორ(ებ)ს მოეთხოვებათ განახორციელონ ყველა ფიზიკური ღონისძიება კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში გათხრითი სამუშაოების წარმოების დროს და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ შემკვეთს (ოუფენ ნეტი). „ოუფენ ნეტი“ დაუკავშირდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და უზრუნველყოფს სათანადო გარემოს საჭირო არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად. სამუშაოები განახლდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური თანხმობის საფუძველზე „ოუფენ ნეტის“ მიმართ და ამ უკანასკნელის მიერ კონტარქტორისთვის შეტყობინების შემდეგ.

<u>9.3 საექსპლუატაციო ფაზა</u>

პროექტის ბენეფიციარი საზოგადოებების განათლება და ტრენინგი ჩატარდება ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის მოლოდინების მართის და სარგებელის მაქსიმიზაციის მიზნით დასაქმების შესაძლებლობების, ეკონომიკური აქტივობის და ელ-მომსახურებების ხელმისაწვდომობის სახით. კონკრეტული ძალისხმევები მოხმარდება იმის უზრუნველყოფას, რომ მოწყვლადი ჯგუფები არ ჩამორჩნენ მზარდ ციფრულ ეკონომიკას.

„ოუფენ ნეტი“ რეგულარულად შეამოწმებს ქსელის და დაკავშირებული ობიექტების პასიურ ელემენტებს სათანადო ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის და ზიანის პრევენციის მიზნით. ქსელის და დაკავშირებული ინფრასტუქტურის პერიოდული ტექნიკური მომსახურება განხორციელდება დროულად და სათანადო ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის დეფიციტის დროს ინტერნეტ მომსახურების სტაბილურობის შენარჩუნებისთვის გამოიყენება აკუმულატორი ან დიზელის გენერატორები (i) გამოყენებული ბატარეები დაუბრუნდება მომწოდებელს, (ii) გენერატორები დამონტაჟდება გარეთ ან სათანადოდ განიავებულ შენობებში და ლოკაციებში, სადაც მინიმუმამდე არის დაყვანილი საზოგადოების შეწუხება ხმაურით და გამონაბოლქვით, და (iii) მოითხოვება ენერგო-ეფექტური გენერატორების გამოყენება.

10. ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა

ქვე-პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგის შედეგების საფუძველზე, მომზადდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები (ESMPs) ზომიერი რისკის საქმიანობებისთვის, რომელიც ადგენს ყველა ტექნიკურ დეტალს სკრინინგის ეტაპზე დადგენილ რისკებთან დაკავშირებით, შესაბამისობაში მოყავს სკრინინგის ეტაპზე წარმოდგენილი შერბილების ზომების საერთო პაკეტი ქვე-პროექტის განხორციელების კონკრეტულ საჭიროებებთან და წარმოადგენს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმებს. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის მატრიცაში, რომელიც შედგება შერბილების და მონიტორინგის ცხრილებისგან, უნდა განისაზღვროს შერბილების ზომების ძირითადი სახეობების სავარაუდო ხარჯი, მხარეები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შერბილების ზომების გამოყენებაზე და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელების მონიტორინგზე.

არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ:

1.შერბილების ზომების ცხრილში დასახელებული იყოს კონკრეტული სახის საქმიანობები, რომლებიც მოითხოვს შერბილებას,

2.აღწერილი იქნას კონკრეტული ტიპის საქმიანობებთან დაკავშირებული რისკების შერბილების კონკრეტულ ზომებს

და 3.

გათვალისწინებული იქნას კონკრეტული საზომი ინდიკატორები, რომლის მიხედვით შეფასდება შერბილების ზომების წარმატება.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებში შეტნილი უნდა იყოს ქვე-პროექტის როგორც სამშენებლო ასევე საექსპლუატაციო ფაზა.

ESMPs მოსამზადებლად გამოიყენება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის ჩამონათვალი მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობებისთვის (***დანართი 3***).
ეს არის ნიმუში, რომელიც უნდა შეივსოს მოკლე ინფორმაციით ქვე-პროექტის ადგილმდებარეობის, მის გარშემო ფიზიკური და ბუნებივი გარემოს, მიწის საკუთრების, ქვე-პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და ქვე-პროექტის განხორციელებისთვის საჭირო საქმიანობების კონკრეტული ტიპების შესახებ.
საკონტროლო ჩამონათვალში წარმოდგენილია შერბილების ზომების საერთო პაკეტი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ტიპის საქმიანობებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა უმნიშვნელოდ შესწორდეს კონკრეტული ქვე-პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე.
წარმოდგენილი ცხრილის ფორმატის შესაბამისად უნდა შემუშავდებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმა.

გარემოსდაცვის და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF), ასევე ქვე-პროექტები, შესაძლოა პერიოდულად გადაიხედოს მსოფლიო ბანკთან ერთად იმ შემთხვევაში, თუ პროექტის სასიცოცხლო ციკლში ახალი გარემოებები განვითარდება. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ინსტრუმენტების წარმოებისთვის და რესურსების ოპტიმიზებისთვის გამოყენებული უნდა იქნას რისკების და ზემოქმედებების ადაპტიური მართვა.

შერჩეული სამუშაოების კონტარქტორებმა „ოუფენ ნეტს“, კონტრაქტის ხელმოწერიდან უმოკლეს ვადაში, უნდა წარუდგინონ ESHS გეგმები, სადაც დეტალურად არის აღწერილი თუ როგორ გეგმავენ „ოუფენ ნეტის“ მიერ წარმოდგენილ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას (ESMP). ეს მოიცავს და არა მხოლოდ შემდეგს:
(i) რა სახის გარემოსდაცვით ნებართვებს, ლიცენზიებს, შეთანხმებებს ფლობს კონტრაქტორი ან იქნება მოპოვებული (რომელი ორგანოდან და როდის);
(ii) ობიექტზე უსაფრთხოების მოწყობილობების ტექნიკური სპეციფიაკციები (შემოღობვა, ბარიკადები, ნიშნები, განათება და სხვა);
(iii) ჯანდაცვის და უსაფრთხოების სასწავლო გეგმა პერსონალისთვის;
(iv) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტიპები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას სამუშაო ობიექტებზე;
(v) საინფორმაციო დაფების დიზაინი, რომელიც უნდა განთავსდეს სამუშაო ობიექტების ახლოს, კონტრაქტორთან კონტარქტების საფუძველზე, რომელიც გამოყენებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კომუნიაკციისთვის და ა.შ.).

სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველი, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კომპანიის მომსახურებებით სარგებლობს „ოუფენ ნეტი“, განიხილავს და უზრუნველყოფს კონტრაქტორების გეგმების ხარისხს და პერიოდულად განაახლებს მათ EHS საჭიროების მიხედვით.

11. საჯარო კონსულტაციები და მოქალაქეთა ჩართულობა სოციალური და ეკოლოგიური რისკის მართვაში

კოლექტიურ მიდგომას გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ფორმირებასთან დაკავშირებით Log in Georgia პროექტის ფარგლებში, ასევე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შერბილების ზომების დაგეგმვასთან დაკავშირებით, არსებითი მნიშვნელობა აქვს საგარანტიო დოკუმენტების ხარისხის და რეალიზმის უზრუნველყოფისთვის. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის პროექტი გასაჯაროვდება „ოუფენ ნეტის“ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ბეჭდური ვერსიის სახით შესაბამის რეგიონულ ადმინისტრაციებში ქართულ და ინგლისურ ენებზე. კონსულტაციები სამთავრობო და არასამთავრობო დაინტერესებულ პირებთან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის პროექტის, განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის და სხვა შესაბამისი ESF ინსტრუმენტების შესახებ ჩატარდა „ოუფენ ნეტში“. ყველა ESF ინსტრუმენტი დასრულდა საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაციის შეტანით.

მიმდინარე განახლებული ESMF გასაჯაროვდა 2025 წლის ..... ივლისს.

ობიექტისთვის სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები (ESMPs) გასაჯაროვდება ორ ენაზე „ოუფენ ნეტის“ ვებ-გვერდზე, და ნაბეჭდი ასლები ქართულ ენაზე მიეწოდება ქვე-პროექტის ობიექტებთან ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციულ ცენტრებს. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები გასაჯაროვდება ქართულ და ინგლისურ ენებზე და საჯარო საკონსულტაციო შეხვედრებს ESMPs პროექტის შესახებ ჩაატარებს „ოუფენ ნეტი“. პროექტის ხელმძღვანელი კომიტეტის და პროექტის საკოორდინაციო ჯგუფის წარმომადგენლები მიწვეულნი იქნებიან საკონსულტაციო კრებებზე. ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იქნება აღნიშნული ნაბეჭდი ასლების ხელმისაწვდომობის შესახებ, ასევე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებზე მათი ინფორმაციის საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ. საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები ქვე-პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან ჩატარდება დაინტერესებულ პირთა ადვილად წვდომის უზრუნველყოფისთვის შერჩეული ქვე-პროექტების ობიექტის ახლოს. შეკითხვების, პასუხების ან საჩივრების წარსადგენად „ოუფენ ნეტის“ საკონტაქტო ინფორმაცია

განაწილდება საჯარო კონსულტაციების პროცესში და განთავსდება შესამჩნევ ადგილზე პროექტის განხორციელების მთლიანი ვადის განმავლობაში. შეხვედრები ასევე ჩატარდება ღია სივრცეში სოციალური დისტანცირების და პირბადეების მაქსიმალურად გამოყენების ნორმების დაცვით ან თუ კრების ჩატარება არ იქნება ნებადართული, მაშინ კრება ჩატარდება ონლაინ „კითხვა-პასუხის“ ფორმატში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტით ყველა დაინტერესებულ პირთან იყოს კავშირი.

წარმოებული იქნება საჯარო კონსულტაციის პროცესის დეტალური ჩანაწერი. შედგება ყველა ჩატარებული კრების ოქმი, რომელშიც მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

- რა განცხადებები გაკეთდა კრებაზე, რა საშუალებით და რომელ დღეს.
- კრების ჩატარების ადგილი და დრო;
- რამდენი პირი დაესწრო კრებას და მათი ვინაობა (მაგ. მასწავლებლები, მშობლები და სხვა).
- კრების დღის წესრიგი (მათ შორის მინიმუმ მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედებები ბუნებრივ და სოციალუ გარემოზე, შერბილების ზომები, საჩივრბის განხილვის მექანიზმი);
- ვინ იყვნენ ძირითადი მომხსენებლები და რა საკითხებს შეეხნენ ისინი; და
- რა ტიპის მთავარი შეკითხვები დასვეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა და როგორ იქნა ეს შეკითხვები მიღებული.

ოქმები გამყარებული უნდა იყოს ფოტომასალით, რომელიც გადაღებულია კონსულტაციების პროცესში და დამსწრე პირთა ჩამონათვალით, მათ საკონტაქტო ინფორმაციასთან და ხელმოწერებთან ერთად.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF), ასევე ობიექტისთვის სპეციფიკური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები (ESMPs) დასრულდება ადეკვატური ინფორმაციის შეტანით და გასაჯაროვდება საკონსულტაციო კრების ოქმებთან ერთად.

კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან (საჯარო და კერძო ინსტიტუტები, ადგილობრივი მაცხოვრებლები და ორგანოები, ISP, პროფკავშირები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, პოტენციური ინვესტორები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მოწყვლადი ჯგუფები) გაგრძელდება სამშენებლო ფაზების განმავლობაში, ასევე მისი დასრულების შემდეგ 2 კომპონენტის ფარგლებში, რომელსაც მართავს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ასევე გაგრძელდება ჩანაწერები ეკოლოგიური და სოციალური საკითხების შესახებ და კონსულტაციების დროს მიღებული საჩივრები, საველე ვიზიტები,

არაფორმალური დისკუსიები, ოფიციალური წერილები და სხვა. ჩანაწერები შეინახება პროექტის ოფისში „ოუფენ ნეტში“.

12. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი არის „ოუფენ ნეტის“ საზედამხედველო სამუშაოს განუყოფელი ნაწილი პროექტის განხორციელების პროცესში. „ოუფენ ნეტი“ პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ სამუშაოების კონტრაქტორების მენეჯერები გაეცნონ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებს (ESMPs) და მისცეს მითითებები მუშახელს / პერსონალს შეასრულონ ESMPs. „ოუფენ ნეტი“ ითხოვს სამუშაოების კონტრაქტორისგან დროულად წარადგინოს გარემოსდაცვითი ნებართვები ასფალტის / ბეტონის მოწყობილობების ექსპლუატაციისთვის (თუ საკუთრებაშია); ლიცენზიები ქანების, ხრეშის და ქვიშის ამოღებისთვის (კარიერზე მუშაობის შემთხვევაში); და წერილობითი ხელშეკრულებები ადგილობრივ ორგანოებთან ნარჩენების მოცილების შესახებ. სპეციალისტების მიერ სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის გარდა, „ოუფენ ნეტი“ ჩაატარებს სამშენებლო სამუშაოების რეგულარულ მონიტორინგს ადგილზე იმის შესამოწმებლად, იცავენ თუ არა კონტრაქტორები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებში მითითებულ მოთხოვნებს, ასევე გარემოსდაცვითი საკითხების ან რისკების დასადგენად და აღწერილი გამოსწორების ზომების სათანადო გამოყენების უზრუნველსაყოფად. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, „ოუფენ ნეტი“ მითითებებს მისცემს კონტრაქტორებს გამოსწორების ზომების შესახებ და სათანადოდ გააკონტროლებს მათ შემდგომ წარმატებას.

„ოუფენ ნეტმა“ შესაძლოა მოიპოვოს საერთაშორისო სამშენებლო საზედამხედველო კომპანია. სამშენებლო სამუშაოების ეკოლოგიური, კულტურული და სოციალური ასპექტების ზედამხედველობა იქნება ტექნიკური დავალების განუყოფელი ნაწილი, ასეთი საზედამხედველო კომპანიისთვის.

13. საჩივრების განხილვის მექანიზმი

ქვე-პროექტების განხორციელების დროს, შესაძლოა საპროექტო საქმიანობების გამო წარმოიშვას რამდენიმე საკითხი გარემოს საფრთხეებთან დაკავშირებით და დავები კომპენსაციის გადახდის პროცესებთან დაკავშირებით. მაგალითად, სამშენებლო სამუშაოების შესრულების ინტენსიური განრიგი; სამშენებლო სატრანსპორტო

ნაკადის არასათანადო დრო; ნარჩენები; ხმაური და ჰაერის დაბინძურება სამშენებლო სამუშაოების შედეგად; ეკოლოგიური შეშფოთებები; კომპენსაცია ან სხვა განსახლების და გარემოსდაცვითი საკითხები, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას საპროექტო სამუშაოების შედეგად.

საქართველოში არსებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემის შესაბამისად, არსებობს რამდენიმე ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია მოსახლეობის და დაინტერესებული მხარეების გარემოსდაცვითი საჩივრების განხილვაზე. ადმინისტარციული ორგანოები, რომლებიც პირდაპირ პასუხისმგებელია გარემოს დაცვაზე ქვე-პროექტის ტერიტორიის ფარგლებში, არიან გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციები. ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობას და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ თავიანთი საჩივრები, გარემოზე პროექტით გამოწვეულ ზემოქმედებებთან დაკავშირებით,პირდაპირ გაუგზავნონ ხსენებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გარემოს დაცვაზე.

საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) შექმნილი პროექტისთვის ქვე-პროექტების გარემოსდაცვითი და ასევე სოციალური საკითხების განსახილველად. საჩივრების წარდგენა შესაძლებელია ობიექტზე, საჩივრების ყუთის გამოყენებით ან სხვა საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ელ-ფოსტა, ტელეფონის ნომერი, ვებ-გვერდი. საჩივრების ფორმები ხელმისაწვდომი იქნება ობიექტზე და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შეავსონ ანონიმური საჩივრები საჭიროების შემთხვევაში. საჩივრების ობიექტზე წარდგენის შემთხვევაში, კონტრაქტორი კომპანია პასუხისმგებელი იქნება საჩივრების დარეგისტრირებაზე და მათ გადაწყვეტაზე 1 ეტაპის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორს არ შეუძლია საჩივრის გადაწყვეტა, ამ პროცესში ჩაერთვება „ოუფენ ნეტი“, როგორც ეს აღწერილია 2 ეტაპზე. საზედამხედველო კომპანია პასუხისმგებელი იქნება მიიღოს საჩივრების ჟურნალი კონტრაქტორი კომპანიისგან და გადასცეს „ოუფენ ნეტს“. დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ერთ-ერთი ეტაპი საჩივრების წარდგენისთვის. მათ შეუძლიათ პირდაპირ გამოიყენონ 2 ეტაპი.

ყველა ზეპირი ან წერილობითი საჩივარი მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ წარედგინება კონტრაქტორს ან „ოუფენ ნეტს“. საჩივრებზე რეაგირება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ მათი სახელების კონფიდენციალობის დაცვა და ეს მექანიზმი არ გამორიცხავს უფლებებს დაინტერესებული პირებისთვის აწარმოონ საჩივრები სხვა სამართლებლივი საშუალებებით.

წარდგენილი საჩივრები გადაწყდება ქვემოთ მითითებული პროცედურების შესაბამისად:

ეტაპი 1 – კონტრაქტორი კომპანია საზედამხედველო კომპანიასთან ერთად იღებს და წყვეტს საჩივრებს. იმ შემთხვევაში, თუ 1 ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის (PAP) საჩივარი არ გადაწყდება, აღნიშნული პირი ინფორმირებული უნდა იყოს 2 ეტაპის საჩივრის გადაწყვეტის პროცედურების შესახებ. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს (PAP) უფლება აქვს გამოიყენოს 2 ეტაპის პროცედურები 1 ეტაპის პროცედურების გამოყენების გარეშე. „ოუფენ ნეტი“ ინფორმირებული იქნება 1 ეტაპზე წარდგენილი ყველა საჩივრის შესახებ რეგისტრაციის ჟურნალის მეშვეობით და დისტანციურად გააკონტროლებს საჩივრების გადაწყვეტის პროცესს.

ეტაპი 2 – „ოუფენ ნეტი“ იღებს და წყვეტს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის (PAP) საჩივრებს, რომლებიც არ დაკმაყოფილდა 1 ეტაპზე. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) არსებობს „ოუფენ ნეტში“ და საჭიროების საფუძველზე აღნიშნული კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ მისი საჩივარი არ გადაწყდება 1 ეტაპზე და 2 ეტაპზე.

1 ეტაპის საჩივრების განხილვის პროცედურები არის დავის გადაწყვეტის არაოფიციალური ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და პროექტის განხორციელების ჯგუფს უთანხმოება გადაწყვიტოს ფორმალური პროცედურების, გადავადების და შეფერხებების გარეშე. განსახლების საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ ასეთი საჩივრების განხილვის მექანიზმი ხელს უწყობს საჩივრების უმეტესობის დაკმაყოფილებას ფორმალური პროცედურების გარეშე (ე.ი. ადმინისტრაციულ კოდექსში მითითებული პროცედურების გამოყენების ან სასამართლო პროცესის გარეშე). ეს მექანიზმი იძლევა პროექტის შეუფერხებელი განხორციელების და საჩივრების დროულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები (PAP) სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი საჩივრების განხილვის მექანიზმის, მისი ფუნქციების, პროცედურების, საკონტაქტო პირების და საჩივრების წარდგენის წესების შესახებ ზეპირი ინფორმაციის და ბუკლეტების მეშვეობით საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების დროს. საკონტაქტო ინფორმაცია საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) ძირითადი საკითხების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება საინფორმაციო

ბანერებზე სამშენებლო ობიექტზე. თითოეული ზეპირი / წერილობითი საჩივარი აღირიცხება, ხოლო საჩივრების ჟურნალს მართავს მოქალაქეთა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის მენეჯერი „ოუფენ ნეტში“.

საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს საჩივრებს, რომლებიც ეხება სექსუალურ ექსპლუატაციას და შეურაცხყოფას და სექსუალურ ძალადობას (SEA / SH) ასეთი საჩივრების კონფიდენციალობის დაცვის და სათანადო მიმართვის უზრუნველყოფის მიზნით. ამისთვის „ოუფენ ნეტი' შეიმშავებს ინფორმაციის გაზიარების და მიმართვის პროტოკოლს SEA/SH საჩივრებთან დაკავშირებით და ჩაატარებს ინფორმაციულ სესიას პროექტის ყველა პერსონალისთვის და კონსულტანტებისთვის, რომლებსაც შესაძლოა ურთიერთკავშირი ჰქონდეთ პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმთან (GRM) აღნიშნული პროტოკოლის მათთვის გაცნობის მიზნით.

14. ანგარიშგება

ქვე-პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ზედამხედველობის შედეგების დოკუმენტირება სავალდებულოა. ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშები შეიქმნება საველე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებით (ESMF ***დანართი 5***), ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებით (ESMPs) განსაზღვრული თითოეული შერბილების ზომის გამოყენების ხარისხის და ფარგლების ასახვით. საკონტროლო ჩამონათვალში მითითებულ ინფორმაციას თან უნდა დაერთოს ადგილზე გადაღებული ფოტომასალა და დათარიღდეს.

მსოფლიო ბანკისთვის წარდგენილი პროექტის განხორციელების შესახებ ნახევარწლიური ანგარიშების გარემოსდაცვით თავებში მითითებული იქნება უფრო ამომწურავი, ანალიტიკური ინფორმაცია ეკოლოგიური მაჩვენებლების შესახებ Log in Georgia პროექტის ფარგლებში, მათ შორის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMPs) გადახვევების /დარღვევების მიმოხილვა, სამუშაოების კონტრაქტორებისთვის მიცემული ინსტრუქციები დადგენილი პრობლემების ან სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად და გამოვლენილი სადავო საკითხებზე შემდგომი ქმედებები.

ნახევარწლიური ანგარიშების სოციალურ თავებში მითითებული იქნება იმ მიზეზების მოკლე აღწერილობა, თუ რამ განაპირობა პროექტის ფარგლებში განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) გამოყენება, და სხვადასხვა სოციალური დაცვის დებულებების გამოყენების სტატუსი. ასევე აღწერილი იქნება კონსულტაციების შეჯამება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების (PAP)

კომპენსაციის სტატუსი, საარსებო პირობების აღდგენის საქმიანობების სტატუსი და გამოწვევები განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელებაში. ასევე შეტანილი იქნება პროექტების ჩამონათვალი, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) გამოყენება, მოდევნო კვარტალში.

მსოფლიო ბანკის დაუყოვნებელივ ინფორმირება ნებისმიერი ინციდენტის, საგანგებო სიტუაციების და გაუთვალისწინებელი საკითხების შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში და პირდაპირ ან არაპირდაპირ ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე, სამუშაოების პროვაიდერების პერსონალზე და საპროექტო ობიექტის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობაზე, სავალდებულოა ანგარიშგების ვადების მიუხედავად. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას მოულოდნელი უარყოფითი სოციალური ზემოქმედებები პროექტის განხორციელების პროცესში. სამშენებლო საზედამხედველო კომპანია და მათი პერსონალი პასუხისმგებელი იქნება ასეთი უარყოფითი ზემოქმედებების მონიტორინგზე მათი ვიზიტების დროს.

დანართი 1. ეკოლოგიური სკრინინგი და ქვე-პროექტების კლასიფიკაცია

(ა) ზემოქმედების დადგენა

აქვს პროექტს არსებითი ან მაღალი ზემოქმედება გარემოზე?	
რა არის ქვე-პროექტის მოსალოდნელი ბენეფიციარული და უარყოფითი ზემოქმედებები გარემოზე?	
შესაძლოა ქვე-პროექტმა არსებითი ან მაღალი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ მოსახლეობაზე და სხვა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებზე?	

(ბ) შერბილების ზომები

გათვალისწინებულია ალტერნატივები ქვე-პროექტის განხორციელების გეგმაში?	
რა სახის შერბილების ზომები არის შეთავაზებული?	
წინა მსგავსი ქვე-პროექტებიდან რა გამოცდილება არის შეტანილი პროექტის განხორციელების გეგმაში?	
არის თუ არა დაინტერესებული მოსახლეობა ჩართული და რამდენად ადეკვატურად არის გათვალისწინებული მათი ინტერესები და ცოდნა ქვე-პროექტის მომზადებაში?	

(D) დასკვნა

1. ქვე-პროექტი უარყოფილია[3] ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ☐

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის.

[3] თუ პროექტი არსებით ან მაღალ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე და/ან მოსახლეობაზე, არ აკმაყოფილებს პროექტის მხარდაჭერის კრიტერიუმებს. პროექტის შემოსავლებიდან შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ დაბალი ან ზომიერი რისკების მქონე სამუშაოები.

დანართი 2. ქვე-პროექტების სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი

	სოციალური გარანტიების სკრინინგის ინფორმაცია	**დიახ**	**არა**
1	არის თუ არა ინფორმაცია მიერთების, საკუთრების და ქვე-პროექტის მიწით სარგებლობის სტატუსის შესახებ ხელმისაწვომი და შემოწმებადი? (სკრინინგი არ დასრულდება სანამ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ იქნება)		
2	შეამცირებს ქვე-პროექტი სხვა პირების წვდომას მათ ეკონომიკურ რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, სახელმწიფო მომსახურებები ან სხვა რესურსები, რომლებზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		
3	გამოიწვევს ქვე-პროექტი ფიზიკური პირების ან ოჯახების განსახლებას ან მოითხოვს მიწის შეძენას (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მისი განვითარებისთვის?		
4	გამოიწვევს ქვე-პროექტი კულტურების, ხეხილის ხეების და სამურნეო ინფრასტრუქტურის დროებით ან მუდმივად დაკარგვას (როგორიცაა დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღლები, გარე საპირფარეშოები და სამზარეულოები და სხვა)?		
იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მოცემულ შეკითხვებზე (1 შეკითხვის გარდა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ გამოიყენება **ESS 5: მიწის ჩამორთმევა, შეზღუდვების მიწით სარგებლობაზე და იძულებით განსახლება** და შესრულდეს შერბილების ზომები მოცემულ ESS დაკავშირებით და **განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი**			
	კულტურული რესურსების დაცვის სკრინინგის ინფორმაცია	**დიახ**	**არა**
5	მოითხოვს პროექტი საექსკავაციო სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ახლოს?		
იმ შემთხვევაში, თუ 5 შეკითხვაზე პასუხი არის „დიახ“, **მაშინ** შესაძლო კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენა განიხილება **რელევანტური პროცედურების შესაბამისად, რომლებიც წარმოდგენილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში**			

დანართი 3. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საკონტროლო ჩამონათვალი მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის

<u>ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენების საერთო სახელმძღვანელო პრინციპები:</u>

დაბალი რისკის ტოპოლოგიებისთვის, როგორიცაა ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის მოწყობის სამუშაოები, მსოფლიო ბანკის ჯგუფმა შეიმუშავა ოპტიმიზირებული მიდგომა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების მომზადებისთვის მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, სამშენებლო,ჯანდაცვის, განათლების და საჯარო მომსახურებების სექტორებში. საკონტროლო ჩამონათვალის ტიპის ფორმატი შემუშავდა „სანიმუშო კარგი პრაქტიკის“ წარმოსადგენად და იმ მიზნით, რომ მისი ფორმატი იყოს მარტივი მომხმარებლისთვის ESF მოთხოვნებთან თავსებადი.

EMP საკონტროლო ჩამონათვალის ტიპის ფორმატი მოიცავს ტიპიურ შემარბილებელ მიდგომებს იმ სამშენებლო კონტრაქტებისადმი, რომლებიც მცირე ზომის, ლოკალიზებულ ზემოქმედებას ითვალისწინებს.

მიჩნეულია, რომ ეს ფორმატი მოიცავს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების ან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) იმ ძირითად ელემენტებს, რომელიც აუცილებელია მსოფლიო ბანკის გარემოს შეფასების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, როგორც ამას ითვალისწინებს ESS1.

მოცემული საკონტროლო ჩამონათვალი მცირე მოცულობის მშენებლობების კონტრაქტორების მიერ შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სახელმძღვანელო მითითებები და წარმოადგენს იმ კონტრაქტორების სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს, რომლებიც ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მცირე მასშტაბის სამშენებლო სამუშაოებს ასრულებენ.

საკონტროლო ჩამონათვალი სამი ნაწილისგან შედგება:

<u>ნაწილი 1</u> აღწერითი ხასიათისაა, რომელიც ახასიათებს პროექტს და კონკრეტულად აღწერს ინსტიტუციონალურ და საკანონმდებლო ასპექტებს, პროექტის ტექნიკურ შინაარსს, შესაძლებლობების

გაძლიერების პროგრამის პოტენციურ საჭიროებას და საჯარო კონსულტაციების პროცესის აღწერას. მოცემული ნაწილის რაოდენობა უნდა იყოს ორ გვერდამდე. საჭიროების შემთხვევაში მოცემულ ნაწილს თან უნდა დაერთოს დანართები დამატებითი ინფორმაციისთვის.

<u>ნაწილი 2</u> მოიცავს გარემოს დაცვითი და სოციალური სკრინინგის საკონტროლო ჩამონათვალს, სადაც მოსალოდნელი აქტივობები და გარემოზე ზემოქმედების პოტენციური საკითხები მოინიშნება მარტივად, „დიახ/არა“ ფორმატით. თუ რომელიმე მოცემული ქმედება/საკითხი აქტიურდება "დიახ" მონიშვნით, მაშინ გადამისამართება ხდება ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამის ნაწილზე, რომელიც შეიცავს გარკვევით ჩამოყალიბებულ მართვისა და ზემოქმედების შემცირების ღონისძიებებს.

<u>ნაწილი 3</u> წარმოადგენს პროექტის მშენებლობისა და განხორციელების პროცესში აქტივობების მონიტორინგის გეგმას. მისი ფორმატი ასევე შეესბამება „ბ“ კატეგორიის პროექტების ESMPs –თვის განსაზღვრულ ბანკის სტანდარტულ მოთხოვნებს. მოცემული საკონტროლო ჩამონათვალის ნაწილი 2 და 3 შეტანილი უნდა იქნას კონტრაქტორების სატენდერო დოკუმენტებში, შეფასდეს ტენდერის პროცესში და სამუშაოების მიმდინარეობისას განხოციელდეს მკაცრი კონტროლი მათ შესრულებაზე.

სარჩევი

A) ზოგადი ინფორმაცია პროექტის და ადგილის შესახებ

B) უსაფრთხოების ინფორმაცია

C) შერბილების ზომები

D) მონიტორინგის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტის და ადგილის შესახებ

ინსტიტუციური და ადმინისტრაციული			
ქვეყანა			
პროექტის დასახელება			
ქვე-პროექტის დასახელება			
ობიექტზე გასათვალისწინებელი ქმედებების ფარგლები			
ინსტიტუციური მოწყობა (WB)	დავალების ჯგუფის ხელმძღვანელი: (ჩასვით)	E&S სპეციალისტები: (ჩასვით)	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ორგანო: (ჩასვით)	სამუშაოების ზედამხედველი: (tbd)	სამუშაოების კონტრაქტორი: (tbd)
ობიექტის აღწერა			
დაწესებულების დასახელება, ვის საკუთრებასაც წარმოადგენს შენობა, რომლის რეაბილიტაციაც იგეგმება			
დაწესებულების მისამართი და მდებარეობა, რომლის კუთვნილი შენობის რეაბილიტაციაც ტარდება			
ვინ ფლობს მიწას? ვინ იყენებს მიწას (ფორმალურად / არაფორმალურად)?			
ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს და სოციალურ-			

ეკონომიკური კონტექსტის აღწერა ტერიტორიის ირგვლივ	
მასალების, კერძოდ აგრეგატების, წყლის, ქვების (ქვიშა-ხრეში) მოწოდების წყარომდე მანძილი, და მათი ადგილმდებარეობა?	
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები რომეიც ეხება საპროექტო საქმიანობას	
საჯარო კონსულტაცია	
როდის /სად ჩატარდება/ჩატარდა საჯარო კონსულტაცია	
დანართები	
დანართი 1: ობიექტის გეგმა / ფოტო დანართი 2: სამშენებლო ნებართვა (მოთხოვნის შემთხვევაში) დანართი 3: სამშენებლო ნარჩენების მოცილების შესახებ შეთანხმება სხვა ნებართვები / შეთანხმებები - საჭიროების შემთხვევაში	

ნაწილი B: უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია

ეკოლოგიური /სოციალური სკრინინგი			
	აქტივობა/საკითხი	**სტატუსი**	**ქმედებები**
მოიცავს თუ არა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა რომელიმეს შემდეგი ჩამონათვალიდან?	1. შენობის რეაბილიტაცია	[ ] დიახ [ ] არა	იხილეთ ნაწილი **A** ქვემოთ
	2. ახალი მშენებლობა	[ ] დიახ [ ] არა	იხილეთ ნაწილი **A** ქვემოთ
	3. ინდივიდუალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა	[ ] დიახ [X] არა	იხილეთ ნაწილი **B** ქვემოთ
	4. ისტორიული შენობები და რაიონები	[ ] დიახ [ ] არა	იხილეთ ნაწილი **C** ქვემოთ
	5. მიწის შეძენა[4]	[ ] დიახ [ ] არა	იხილეთ ნაწილი **D** ქვემოთ
	6. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები[5]	[ ] დიახ [ ] არა	იხილეთ ნაწილი **E** ქვემოთ
	7. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[ ] დიახ [ ] არა	იხილეთ ნაწილი **F** ქვემოთ
	8. სოციალური რისკის მართვა	[ ] დიახ [ ] არა	იხილეთ ნაწილი **G** ქვემოთ

[4] მიწის შეძენა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ხელყოფას - ეს ეხება მიწებს, რომელის შეძენა/გასხვისება ხდება და ამ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადამიანებს რომლებიც ცხოვრობენ ან/და თვითნებურად სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) მიწაზე რომლის გამოსყიდვაც იგეგმება.

[5] ტოქსიკური / სახიფაო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე გამხსნელები, ტყვიის საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ზომები

აქტივობა	პარამეტრი	შემარბილებელი ზომების საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშა ხელის უსაფრთხოება	(a) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი სამშენებლო და გარემოსდაცვითი საზედამხედველო ორგანოებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის. (b) დაგეგმილი სამუშაოების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება შეტყობინების სათანადო საშუალებების გამოყენების გზით, მედია საშუალებებითა და /ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოს განხორციელების ადგილის ჩათვლით); (c) სამშენებლო და / ან სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებაზე იურიდიულად საჭირო ყველა ნებართვის მიღება. (d) ოფიციალური შეთანხმებ კონტრაქტორთან, რომ სამუშაოები განხორციელდება წინასწარ დაგეგმილი უსაფრთხოების წესებისა და წესრიგის დაცვის გზით, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მოსალოდნელი ზემოქმედება მომიჯნავე მოსახლეობასა და ბუნებრივ გარემოზე. (e) მუშა ხელის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (PPE) შესაბამისობის უზრუნველყოფა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკასთან (ყოველთვის ჩაფხუტების, საჭიროების შემთხვევაში ნიღბების და უსაფრთხოების სათვალეების, უსაფრთხოების ღვედების და დამცავი ფეხსაცმლის გამოყენება). (f) საპროექტო მოედნებზე განთავსებული საინფორმაცი აბრები მუშახელის ინფორმირებისთვის სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებული სავალდებულო წესებისა და რეგულაციების შესახებ.
A. ზოგადი რეაბილიტაციის და /ან სამშენებლო აქტივობები	ჰაერის ხარისხი	(a) პნევმატური ბურღვის / კედლის დარღვევის დროს მტვრის შემცირება წყლის ჭავლის შესხურებით და/ან მტვრის ბადეების დამონტაჟებით ობიექტზე. (b) მიმდებარე ტერიტორია (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს სამშენებლო ნარჩენებისგან, რათა მინიმუმამდე შემცირდეის მტვრის წარმოქმნა და გავრცელება; (c) დაუშვებელია სამშენებლო მოედნებზე სამშენებლო მასალების/ ნარჩენების ღია

		წესით დაწვა. (d) დაუშვებელია საპროექტო მოედნებზე სამშენებლო ტექნიკისა და დანადგარების უქმი მუშაობა.
	ხმაური	(a) სამშენებლო ხმაურის შეზღუდვა დღის განმავლობაში, გადაუდებელი აუცილებლობის გარდა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება სამუშაოების განრიგის შესახებ, სტანდარტული სამუშაო საათებიდან გადახრის შემთხვევაში. (b) ექსპლუატაციისას გენერატორის ძრავის, ჰაერის კომპრესორების და სხვა ელექტრო ენერგიაზე მომუშავე მანქანა- დანადგარების საფარები უნდა იყოს დახურული და განთავსდეს საცხოვრებელი ადგილებიდან მოშორებით, რამდენაც ეს შესაძლებელია.
	წყლის ხარისხი	(a) საპროეტო მოედანზე უნდა განხორციელდეს ეროზიისა და დანალექების კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები, როგორიცაა თივის შეკვრებისა და/ ან შლამის მესერის განთავსება, რათა თავიდან იქნას აცილებული სამშენებლო მოედნიდან დანალექების გადინება და ახლომდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში წყლის ზედმეტად ამღვრევა.
	ნარჩენების მართვა	(a) ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ადგილებისა და გზების იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს ყველა ძირითადი ტიპის ნარჩენისთვის, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები განხორციელებისას. (b) სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშოებისას წარმოქმნილი მინერალური ნარჩენები უნდა გამოცალკევდეს საერთო ნარჩენებისგან, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან ადგილზე დახარისხების გზით და განთავსდე შესაბამის კონტეინერებში. (c) სამშენებლო ნარჩენები შეგროვება და მოცილება სათანადოდ განსაზღვრულ ლოკაციებზე. (d) შესაძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი მასალების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).

B. ჩამდინარე წყლების გაწმენდის ინდივიდუალური სისტემა	წყლის ხარისხი	(a) სამშენებლო მოედნებიდან სანიტარული ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების დამუშავების/გაწმენდის მიდგომები დამტკიცებული უნდა იქნას შესაბამისი ორგანოების მიერ. (b) მიმღებ წყლებში ჩადინებამდე, ინდივიდუალური სისტემებიდან გამომდინარე ჩამდინარე წყლები უნდა დამუშავდეს/გაიწმინდოს, რათა მოხდეს ჩამდინარე წყლების ხარისხის იმ მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რომლებიც განსაზღვრულია ჩამდინარე წყლებისა და საკანალიზაციო წყლების დამუშავების/გაწმენდის ეროვნული სახელმძღვანელოს მითითებებში/რეკომენდაციებში. (c) ახლად შექმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების მონიტორინგის განხორციელება და შემკვეთისთვის ანგარიშის წარდგენა მონიტორინგის შედეგების შესახებ. (d) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და დანადგარების გარეცხვა მხოლოდ კონკრეტულ ადგილებში, სადაც ჩამდინარე წყლები არ დააბინძურებს ბუნებრივ წყალსატევებს.
C. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები / ბუფერული ზონები	კულტურული მემკვიდრეობა	(a) საკაბელო კოლოფების და კაბინების მოწყობის შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის ბუფერულ ზონებში, სამშენებლო ნებართვის გაცემამდე მოპოვებული უნდა იყოს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობა. ყველა სამშენებლო საქმიანობა დაგეგმილია და ხორციელდება ადგილობრივი და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. (b) პერსონალის ინფორმირება კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში პროცედურების შესახებ. ყველა ფიზიკური ზომის მიღება კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის ეჭვის ან პერსონალის მიერ მოხსენების შემთხვევაში და შემკვეთის დაუყოვნებლივ ინფორმირება წერილობითი ფორმით. სამუშაობი არ განახლდება შემკვეთისგან ოფიციალური შეტყობინების მიღებამდე.

D. მიწის შესყიდვა	მიწის შესყიდვის გეგმა/ ჩარჩო	(a) თუ მიწის ექსპროპრიაცია გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ საჭირო გახდა ამის განხორციელება, ან თუ არ იყო მოსალოდნელი მიწის იურიდიული ან არა-ლეგალური გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლების დაკარგვა, მაგრამ მაინც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამგვარ დანაკარგს, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ბანკის ჯგუფის ხელმძღვანელთან. (b) გარანტია იმისა, რომ ქვე-პროექტის ობიექტზე არ მოხდეს შესვლა და ფიზიკური საქმიანობის დაწყება, განსახლების დასრულების შესახებ ოფიციალური შეტყობინების და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის კომპენსაციის სრულად გადახდამდე.
E. ტოქსიკური მასალები	აზბესტის მართვა	(a) თუ პროექტის ტერიტორიაზე არსებობს აზბესტი, ის გარკვევით უნდა მონიშნული, როგორც სახიფათო ნივთიერება. (b) თუ შესაძლებლობა არსებობს, მოსალდნელი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მოხდება აზბესტის შესაბამისად შენახვა და დალუქვა. (c) აზბესტის (თუ გატანა აუცილებელია) ტერიტორიიდან გატანამდე, აზბესტის მტვრის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, უნდა მოხდეს მისი დამუშავება დამატენიანებელი ნივთიერებით. (d) აზბესტთან მუშაობა და მის გატანა განხორციელდება შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალების მიერ. (e) თუ ხდება აზბესტის მასალის დროებით შენახვა, ნარჩენები უნდა დიდი სიფრთხილით უნდა იქნას შენახული დახურული ტიპის კონტეინერში და მოხდეს შესაბამისი აღნიშვნების გაკეთება. განხორციელდება უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო მოედნიდან მათი არაავტორიზებული გატანის თავიდან აცილების მიზნით. (f) არ მოხდება მოცილებული აზბესტის ხელახალი გამოყენება.
	ტოქსიკური / საშიში ნარჩენების მართვა	(a) საპროექტო მოედანზე ყველა სახიფათო ან ტოქსიკური ნივთიერების დროებითი შენახვა უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნები ნივთიერების შემადგენლობის, თვისებებისა და მასთან მუშაობის წესების შესახებ ინფორმაციის მითითებით. (b) სახიფათო ნივთიერებების შემცველი კონტეინერები უნდა განთავსდეს არა-გაჟონვად კონტეინერებში, გაჟონვისა და გამოტუტვის თავიდან აცილების მიზნით.

		(c) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ოფიციალუ ნაგავსაყრელებზე და მოცილდებული იქნას ჭარბი ამოღებული მასალა ობიექტებზე, ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით. (d) არ მოხდება ტოქსიკური ნივთირებების შემცველი საღებავების ან გამხსნელების ან ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება.
F. ტრანსპორტის მოძრაობა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო აქტივოებების გამო საზოგადოების ნაკადებისთვის და ფეხით მოსიარულეებისთვის შექმნილი პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხეები	(a) მანიშნებელი და გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები: სამშენებლო ტერიტორია იქნება მკაფიოდ ხილვადი, საზოგადოება კი ინფორმირებული ყველა პოტენციური საშიშროების შესახებ. (b) საგზაო მოძრაობის მართვის სისტემა და თანამშრომლების ტრეინინგი, განსაკუთრებით კი სამშენებლო ტერიტორიაზე დაშვებისა და საპროექტო ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების საკითხებთან დაკავშირებით. ფეხით მოსიარულეებისათვის უსაფრთხო გადააადგილების უზრუნველყოფა, გადასასვლელების მოწყობა გზებზე და გზების ურთიერთ გადაკვეთის ადგილებში, იქ სადაც სამშენებლო ტექნიკა მოძრაობს. (c) სამუშაო საათების ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა. მაგალითად: პიკის საათებში ან პირუტყვის მოძრაობის საათებში მნიშვნელოვანი ხასიათის სატრანსპორტო მოძრაობის თავიდან აცილება. (d) მოძრაობის აქტიური მართვა თუ მოითხოვება საზოგადოების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის.
G. სოციალური რისკის მართვა	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	(a) საკონტაქტო პირის დანიშვნა კონტრაქტორის ჯგუფში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კომუნიკაციაზე და მოთხოვნების / საჩივარების მიღებაზე ადგილობრივი მოსახლეობიდან. (b) კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან გარეშე მუშახელსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის პოტენციური კონფლიქტების დადგენისა და პროაქტიურად მართვის მიზნით. (c) ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რისკების შესახებ, რაც დაკავშირებულია გარეშე მუშახელის არსებობასთან, ამასთან ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა საინფორმაციო ატქივობებში. (d) მოსახლეობის ინფორმირება სამშენებლოი და სამუშაო განრიგების,

		მომსახურებების შეწყვეტის, მოძრაობის მარშრუტის შეცვლის და დროებითი ავტობუსის მარშრუტების, აფეთქების და დემონტაჟის შესახებ. (e) სამშენებლო სამუშაოების შეზღუდვა ღამით. საჭიროების შემთხვევაში ღამის სამუშაოების სიფრთხილით დაგეგმვა და მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება, რომ შეძლონ საჭირო ზომების მიღება. (f) მინიმუმ ხუთი დღით ადრე გაფრთხილება მომსახურებების შეწყვეტის შესახებ (მათ შორის წყლის, ელექტროენერგიის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების), მოსახლეობის ინფორმირება ინფორმაციის სამუშაო ობიექტებზე, ავტობუსის გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე / საწარმოებზე განთავსებით. (g) შემკვეთის მეირ განსაზღვრული საჩივრების განხილვის მექანიზმით განსაზღვრული საკითხების განხილვა კონკრეტულ დროში კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში. (h) შესაძლებლობების ფარგლებში სამუშაო ბანაკები არ უნდა განთავსდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან ძალიან ახლოს. (i) მუშათა ბანაკების განთავსება და გამოყენება უნდა მოხდეს მეზობელ მოსახლეობასთან კონსულატციის საფუძველზე.
	შრომის მართვა	(a) შესაძლებლობის ფარგლებში არაკვალიფიციური ან ნახევრად კვალიფიციური მუშახელის მოწვევა ადგილობრივი მოსახლეობიდან. თუ და როდესაც შესაძლებელი იქნება მუშახელის საკვალიფიკაციო ტრენინგი უნდა ჩატარდეს ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის ზრდის მიზნით. (b) ადეკვატური საპირფარეშო ობიექტების უზრუნველყოფა (ტუალეტები და სარეცხი ზონები) სამუშაო ობიექტზე ცივი და ცხელი წყლით მომარაგების, საპნის და ხელის საშრობი მოწყობილობების უზრუნველყოფით. შრომითი ბანაკისთვის უნდა მოეწყოს დროებითი „სეპტიკ-ტენკის“ სისტემა, მიმდებარე წყლების დაბუნძურბეის გარეშე. (c) მუშახელის ინფორმირებულობის ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ურთიერთობის მართვის შესახებ, ქცევის კოდექსის შედგენა საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და მათი მკაცრად დაცვა, მათ შორის მუშახელის გათავისუფლება და შესაბამისი მასშტაბის ფინანსური ჯარიმების შესახებ.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

აქტივობა	**რა** (რა პარამეტრის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს?)	**სად** (არის პარამეტრი, რომლის მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს?)	**როგორ** (უნდა მოხდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	**როდის** (განსაზღვრეთ სიხშირე / ან განგრძობადობა?)	**რატომ** (ხორციელდება პარამეტრის მონიტორინგი?)	**ვინ** არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი?)
მშენებლობის ფაზა						
1.						
2.						
n.						
ექსპლუატაციის ფაზა						
1.						
2.						
n.						

დანართი 4. ადგილზე გარემოს მონიტორინგის ყოველთვიური საკონტროლო ცხრილი

ობიექტის მდებარეობა					
კონტრაქტორის სახელი					
ზედამხედველის სახელი					
ობიექტზე ვიზიტის თარიღი					
სამშენებლო სამუშაოების სტატუსი					
შესამოწმებელი დოკუმენტები და აქტივობები	სტატუსი				კომენტარები
	დიახ	ნაწილობრივ	არა	ა/მ	
კონტრაქტორს გააჩნია ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზია					
კონტრაქტორს გააჩნია ბეტონის / ასფალტის ქარხნის ოპერირების ნებართვა t					
კონტრაქტორს აქვს შეთანხმება ნარჩენების საბოლოო მოცილების შესახებ					
ონტრაქტორს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მომსახურების პროვაიდერთან, ობიექტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის შესახებ					
სამუშაო მოედანი შემოღობილია და განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები					
მოძრაობა რეგულირდება სათანადო გამაფრთხილებელი ნიშნებით და სიგნალებით დროულად შენელების, დროებითი ბარიერების უსაფრთხოდ შემოვლის და ღამით ხილვადობის					

უზრუნველყოფის მიზნით.					
სამუშაოები არ აფერხებს ფეხით მოსიარულეთა და ავტო ტრანსპორტის თავისუფალ გადაადგილებას, ან უზრუნველყოფილია დროებითი მისასვლელი გზები					
სამუშაო საათები დაცულია					
სამშენებლო ტექნიკა და დანადგარები სტანდარტულ გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაშია (არ აქვს ადგილი ჭარბ გამონაბოლქვს და ხმაურს, საწვავისა და საპოხი მასალების გაჟონვას)					
სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება ხდება დახურულ ძარიანი ტრანსპორტით					
სამშენებლო მოედანი ირწყვება/ინამება ისეთი სამუშაოების წარმოებისას, რომელსაც თან ახლავს ჭარბი რაოდენობით მტვრის წარმოქმნა					
კონტრაქტორის სამშენებლო ბანაკი ან სამშენებლო ბაზა შემოღობილია; გამოყოფილია ადგილები ნარჩენების დროებით შესანახად და ტრანსპორტის/ ტექნიკის მომსახურებისთვის					
კონტრაქტორის ბანაკს მიეწოდება წყალი და უზრუნველყოფილია სანიტარული პირობებით					
კონტრაქტორის ბანაკი ან სამუშაო მოედანი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარებისა და ხანძარსაწინააღმდეგო					

საშუალებებით					
მუშებს აცვიათ ფორმები და აღჭურვილი არიან პირადი დამცავი საშუალებებით, რომლებიც მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს შეესაბამება (ხელთათმანები, ჩაფხუტები, აირწინაღები, სათვალეები და ა.შ.)					
ტრანსპორტისა და ტექნიკის მომსახურება და საწვავით შევსება ხორციელდება დახურულ ადგილას, რომლის ქვედა ზედაპირზე მოწყობილია გაუმტარი ფენა და სადაც შესაძლებელი იქნება ოპერირების ან ავარიის შემთხვევაში დაღვრილი სითხეების შეკავება					
ტრანსპორტისა და ტექნიკის გარეცხვა ხდება ბუნებრივი ზედაპირული წყლის ობიქტებიდან მოშორებით, ისე, რომ მოხმარებული წყლის ნკადი პირდაპირ არ ჩაედინება ბუნებრივ წყალისატევებში					
სამშენებლო ნარჩენების გატანა და განთავსება ხდება სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილ ადგილებში.					
ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვება ხდება ლიცენზიაში მითითებული პირობების დაცვით.					
ჭარბი მასალები და ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენა, რომელიც წარმოიქმენა მიწის სამუშაოებისას ინახება განცალკევებულად და გამოიყენება საჭიროების მიხედვით უკუჩაყრისთვის / სამშენებლო მოედნის აღდგენითი სამუშაოებისთვის					

კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის მქონე საგნების აღმოჩენების შემთხვევაში ხდება სამუშაოების შეჩერება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისთვის.					
ობიექტზე ფიზიკური სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამშენებლო მოედანი და კონტრაქტორის ბანაკი დასუფთავებულია სამუშაოების შედეგად რამოქმნილი ყველა ნარჩენისგან და ჰარმონიზებულია გარემომცველ ლანდშაფტთან					

დანართი 5. საჯარო საკონსულტაციო კრების ოქმი, ESMF და RPF შესახებ